# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 10 აგვისტო 1996 №78 (303) ფასი 40 თეთრი






**ხუთშაბათს „ბათუმმა“ შინ ფარერის „ჰაფნარი“ გაანადგურა. ექვსი უპასუხო გოლი ევროტურნირებში ქართული გუნდებისთვის სარეკორდოა.**

აქამდე რეკორდი, ცხადია, თბილისის „დინამოს“ ეკუთვნოდა — ოთხბურთიანი ხხვაობა: 1973 წელს ბელგრადის ოფკ-სთან 5:1, 1980-ში ირლანდიის „უოტერფორდთან“ 4:0 და ასეთივე ანგარიში სულ ახლახან „გრევენმახერთან“. ეს რეკორდი, ალბათ, კარგა ხანს გაძლებს. თუ, რასაკვირველია უახლოეს ხანს კვლავ ფარერები არ შეგვხვდა.



ახალდანიშნული მწვრთნელი შოთა ჭეიშვილი უკვე მომავალ ეტაპზე ფიქრობს, გუნდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი თემურ ხუნდაძე კი ამჟამინდელი გამარჯვებითაც დიდად კმაყოფილია

**წამიც და თემურ ტუღუში ეფექტურად გაიტანს თავის მესამე გოლს ფარერელთა კარში და პირველ რეკორდს დაამყარებს:**

# ტუღუში პირველი ქართველი ფეხბურთელია, ვინც ევროთასებზე ჰეთ-თრიქი გააკეთა!



## აშვეთია საქართველოში დაბრუნდა

ქუთაისელ მიხეილ აშვეთიას შესახებ კარგა ხანია არაფერი გვსმენია ჭორების გარდა. მის შესახებ დაზუსტებით მხოლოდ ის ვიცოდით, რომ მოსკოვს წავიდა, მაგრამ მის შემდგომ მარშრუტზე იმდენი რამ ითქვა, ტყუილ-მართალის გარჩევა გაუჭირდებოდა კაცს. ერთი, რაც სიმართლეს ნამდვილად შეეფერებოდა, ის იყო, რომ აშვეთია ერთხანს მოსკოვის „სპარტაკში“ ვარჯიშობდა და ამ გუნდის შემადგენლობაში ამხანაგურ მატჩშიც ითამაშა. აქედან უკვე ისე ჩანს, რომ ამ ვარჯიშს ერთადერთი დანიშნულება ჰქონდა: მიშა ფორმიდან არ ამოვარდნილიყო, თორემ „სპარტაკს“ რომ მისი აყვანა არ სურდა, ეს იარცევმა ადრეც განაცხადა. ამ ცოტა ხნის წინ აშვეთია „ლეგიაშიც“ ყოფილა გასინჯვაზე, სადაც გოლებიც გაუტანია, მაგრამ ჯერჯერობით გაურკვეველ მიზეზთა გამო იქიდანაც მოუწია წამოსვლამ. ამის შემდეგ მოხეტიალე ფორვარდი იტალიურ "ბრეშიაშიც" გაუსინჯავთ, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. ახლა მიხო ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე მიუწვევია ვლადიმერ გუცაევს და რომ არ ჩამოსულიყო, ფედერაციისგან დისკვალიფიკაციას ვერ გადაურჩებოდა. ახლა საქართველოში ჩამოსულ აშვეთიას სხვაგან გაშვებას „ტორპედო“ ალბათ არავის დაანებებს, მაგრამ როგორც ამბობენ, იგი სხვა ქართულ კლუბებსაც სურთ.



სოსო ლიპარტელიანი ნანატრ მედალს დასცქერის... ატლანტური ფოტორეპორტაჟი იხილეთ მე-5 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აქა ამბავი მეზღვაურთა და მეთევზეთა

**ბათუმი 6:0 ჰაფნარი**

8 აგვისტო. ბათუმი. სტადიონი „დინამო“

1 ტოგონიძე
7 მ. მახარაძე
2 სიჭინავა 3 მინდაძე
5 შეყილაძე
6 თორლაშვილი
8 ღლონტი 4 კანტიძე 11 მუჯირი
10 უჯმაჯურიძე 9 ტულუში

9 ი. ჯოუნსენი 11 არჯი
7 ოლსენი
10 რასმუსენი 8 მ. თომასენი
6 სილვესი 3 დავიდსენი
2 მორი 4 იაკობსენი
3 მ. ჯოუნსენი
1 იოჰანსენი

შეცვლა: ი. ჯოუნსენი — 14 პ. თომასენი (46), კანტიძე — 15 მაჭუტაძე (60), ტოგონიძე — 12 გვარამაძე (66), მ. ჯოუნსენი — 12 მობრი (76), არჯი — 13 დანიელსენი (77), თორლაშვილი — 14 ჭიჭვეიშვილი (78)

გაფრთხილება: მორი

1:0, 2:0 4:0 ტულუში (9, 22, 54), 3:0, 5:0 უჯმაჯურიძე (26, 69) 6:0 დავიდსენი (საკუთარ კარში, 87)

მსაჯი: ი. საარი (ესტონეთი)

## რა სჯობს მოგზაურობას

უბნის ბიჭები თავიანთი ჭკის გასახარად რომ შეიკრიბებიან და ლუდზე ითამაშებენ, აი, სწორედ ასეთი ხალხის გუნდად წარმოგვიდგნენ ფარერელები. ჟურნალისტები, მეზღვაურები, მეთევზეები, შემდუღებლები და კიდევ სხვა მრავალი პროფესიის წარმომადგენლები არიან ჰაფნარელები. მათ დამოკიდებულებას 8 აგვისტოს შეხვედრისადმი მატჩისწინა სამზადისიც კარგად ასახავდა. კი, როგორ არა, ნამდვილად ივარჯიშეს, მაგრამ დრო უფრო ქალაქში სეირნობასა და ზღვის სანაპიროზე ნებივრობას მოანდომეს. სწორედ პლაჟზე მორიგი გასეირნების დროს გავესაუბრე ფარერელთა გუნდის ადვოკატს ქნუდ ლარსენს. ამაში დამეხმარა აჭარის საგარეო-ეკონომიკური სამმართველოს თანამშრომელი ქეთევან ორაგველიძე, რომელიც სტუმართა თარჯიმნის მოვალეობას ასრულებდა. მართალია, წინა დღეს მწვრთნელი იოჰან ნილსენი მიმტკიცებდა, თქვენ გუნდზე არაფერი ვიცითო, მაგრამ მთლად ასეც არ ყოფილა საქმე — „სელტიკის“ ხელმძღვანელებს დაკავშირებიან და საჭირო ინფორმაცია მათგან მიუღიათ.

„მაგრამ, რაც უნდა ინფორმაცია მოვიპოვოთ, ეს ბევრს მაინც არ ნიშნავს. ვიცით, რომ სუსტები ვართ და წარმატების არანაირი იმედი არ გაგვაჩნია. ეს, უბრალოდ, წარმოუდგენელი სენსაცია იქნებოდა. თანაც, ჩვენი გუნდი მოყვარულებისაა. ფეხბურთელები თავიანთი სიამოვნებისთვის თამაშობენ, დადიან, მოგზაურობენ, ერთობიან და მაინცა და მაინც გულთან ახლოს არც მოგება და არც წაგება არ მიაქვთ. მართალია, მორიგ მოგზაურობას, ამჯერად საქართველოში, ცუდი ოფიციალური ინფორმაცია უძღვებოდა — თქვენი ქვეყანა საშიშ ადგილად წარმოგვიდგინეს, მაგრამ ჩვენ მაინც არ შევშინებულვართ. სხვათა შორის, საქართველოში წამოსვლისას ჩვენი სიცოცხლე 200 პროცენტით უფრო ძვირად დააზღვიეს, ვიდრე ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. მიზეზი, როგორც გითხარით, ოფიციალური ინფორმაცია გახლდათ. ისე, სიმართლე რომ ვთქვა, მიკვირს, რატომ აქვთ თქვენზე ასეთი წარმოდგენა. აქ რომ სიმშვიდეა, შესაძლოა ბევრს შეშურდეს. შარშან კრაიოვას „უნივერსიტატიას“ შევხვდით და საქართველო რუმინეთთან შედარებით უკეთეს ქვეყანად ჩანს. მდგომარეობა და პირობებიც უკეთესია“ — გვითხრა სტუმართა ენაწყლიანმა ადვოკატმა.

ამის შემდეგ მცირედი ინფორმაცია გუნდის პრეზიდენტზეც მოგვაწოდა. ვფიქრობ, მისი პერსონით დაინტერესება იოლი ასახსნელია — ფეხბურთში ქალი პრეზიდენტი იშვიათი მოვლენაა. სიგრუმ მიკელსენი 30 წლის ქალბატონია, პროფესიით ექიმი — ფიზიოთერაპევტი. იგი პრეზიდენტობამდე დანიის ფეხბურთელ ქალთა ნაკრებში თავდამსხმელად თამაშობდა. პრეზიდენტად კი წლინახევრის წინ დამდგარა. როდესაც ადვოკატს ვკითხე — ქალის უფროსობა კაცებში რაიმე უსიამოვნო გრძნობას ხომ არ იწვევს-მეთქი, ხელები გაასავსავა, ნოუ პრობლემო.



პრეზიდენტიც ასეთი უნდა

### მზეც გამოჩნდა

ფეხბურთის მოლოდინში მყოფმა ბათუმელებმა გამოდარება ღვთის წყალობით მიილეს. 6 აგვისტოს ღამით დაწყებული წვიმა შეხვედრის ნორმალურ პირობებში ჩატარებას საეჭვოს ხდიდა. თანაც, მოგეხსენებათ, ბათუმში რომ წვიმა დაიწყება... კიდევ კარგი, თამაშამდე ავდარმა გვარიანი ანტრაქტი გამოაცხადა და მზეც გამოჩნდა. მზეს დანატრებულმა ხალხმა კი ზღვას მიაშურა, მათ შორის ფარერელებმაც და თავიანთ მშვენიერ პრეზიდენტთან გადახვეულები სიგარეტის წევით პლაჟისკენ გაემართნენ. შეხვედრის დაწყებამდე საათნახევარი რომ რჩებოდა, მაშინღა გაიხსენეს, რისთვის ჩამოვიდნენ საქართველოში.

### საათნახევრიანი კომედია

ამ შეხვედრას სხვაგვარად ვერ შევაფასებ და ამით სულაც მსურს ბათუმელთა გამარჯვების დაკნინება.

მეტოქეებმა ასეთი ტაქტიკური სქემები ირჩიეს: ჩვენებმა — 4-5-1, სტუმრებმა — 3-5-2. თუმცა, ეს ყველაფერი პირობითი იყო, რადგან სტუმართა ტაქტიკა მეტად მარტივი იყო, დაახლოებით ასეთი — ვითამაშოთ და ვნახავთო... ეგ იყო, ეს „ვნახავთ“ იმ დღეს არავის უნახავს. ორივე გუნდს წამყვანი მოთამაშეები აკლდა. ბათუმელებს მაჭუტაძე თადარიგში ჰყავდათ, რადგან ტრავმის შემდეგ ჯერაც ვერ არის ჩვეულ ფორმაში. სხვათა შორის, თადარიგშიც კი არ იყვნენ დათო მახარაძე და გოჩა ტრაპაიძე, რომლებიც სრულიად ჯანმრთელნი გახლდნენ, მაგრამ რა იყო მათი უთამაშებლობის მიზეზი, ვერ გეტყვით. ფარერელებმა კი დაშავებული საუკეთესო ბომბარდირი გუნარ მორი მოისაკლისეს.

დაიწყო თუ არა შეხვედრა, მაშინათვე გაირკვა, რომ მოედანზე ერთი კაცი ნამდვილად ზედმეტი იყო — ბათუმელთა მეკარე ნიკა ტოგონიძე. ბათუმელებმა თავიდანვე ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე შეუტიეს და მალევე გამოჩნდა, რომ ფარერელებს ძალიან გაუჭირდებოდათ. მოკლე და გრძელი გადაცემების მონაცვლეობით, ფლანგებზე მოთამაშეთა აქტიური ჩართვით და გაცილებით უკეთესი ტექნიკის წყალობით მასპინძლები იოლად ახერხებდნენ სტუმართა საჯარიმოში შესვლას და მეკარის დაწიოკებას. პირველივე სერიოზული კომბინაცია კი გოლით დასრულდა: მარჯვენა ფლანგიდან ბურთი საჯარიმოს ცენტრში მყოფ ტულუშს ჩააწოდეს, იგი, კარისკენ ზურგით მდგომი, შეტრიალდა, ბურთი კარგად მოირგო, დაარტყა და ანგარიშიც გახსნა. ამან ისედაც არაფრისმაქნისი სტუმრები მთლად დააბნია და, რას აკეთებდნენ და რისთვის თამაშობდნენ ამის შემდეგ, ღმერთმა თუ უწყის. ბათუმელებმაც დაინახეს, რა ბიჭებთან ჰქონდათ საქმე და ნელ-ნელა დაიწყეს მათი განადგურება.

შეტევათა უმრავლესობას ბათუმელები არა თუ საკუთარი ნახევრიდან, არამედ პირდაპირ ცენტრიდან იწყებდნენ, რადგან სტუმრები მეტს ვერას ახერხებდნენ, ბურთს აქვე კარგავდნენ და მთელი გუნდით დაცვაში იდგნენ. მაგრამ ტლანქ, თანაც ფიზიკურად სუსტ სტუმრებს ვერც ეს შველოდა და ვერაფრით უმკლავდებოდნენ ბათუმელთა ურიცხვ შეტევებს. თუმცა, ესეც იყო — ჩვენები რომ ოდნავ მეტად ზუსტნი ყოფილიყვნენ, სტუმართათვის შედეგი კიდევ უფრო კატასტროფული იქნებოდა. მე-16 წუთზე ტულუშმა ჩინებული გადაცემით ღლონტი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, ამანაც დაარტყა, მაგრამ ძელს მოარტყა. მე-17 წუთი: თორლაშვილის ძლიერ დარტყმას მეკარე იგერიებს. მე-18: უჯმაჯურიძე კვლავ მარტო დარჩა მეკარესთან.; მე-20: თორლაშვილი ტულუშს ხელსაყრელ ვითარებას უქმნის, კვლავ უზუსტობა. 21-ე წუთზეც ანალოგიური მეორდება, იმ განსხვავებით, რომ თორლაშვილის ნაცვლად პასის მიმწოდებელი კანტიძე იყო. მეკარემ კვლავ იმარჯვა. ბათუმელები მიხვდნენ, რომ ასეთი უზუსტო თამაშით კარგად ვერ იხეირებენ, მეორე შეხვედრისთვის საჭირო გოლების მარაგს ვერ დააგროვებდნენ და მალე მეორე გაიტანეს. 22-ე წუთზე კანტიძემ საჯარიმოსთან ახლოს მიიღო ბურთი. მას უჯმაჯურიძე დროულად კი გაეხსნა, მაგრამ ბათუმელთა ნახევარმცველმა იაზრა, რომ უჯმაჯურიძე თამაშგარეში ხვდებოდა, ამიტომ ოდნავ დააყოვნა, უკეთეს პოზიციაში მყოფი ტულუში შენიშნა და ანგარიში გაიზარდა — 2:0. უჯმაჯურიძემ მეორე გოლს მალე მესამეც მოაყოლა. ეს კარგად ჩაფიქრებული და ვარჯიშებზე დამუშავებული ჯარიმის გათამაშებით შეძლეს. ფარერელები ელოდნენ, რომ მალხაზ მახარაძე ბურთს





თემურ ტულუში ძალიან ლიდობდა. ფორვარდის ამპლუასაც იოლად მოერგო და ჰეთ-თრიქიც შეასრულა

იქვე მდგომ ტულუშს გაუგორებდა და არც დაფიქრებულან, ისე გავარდნენ თემურისკენ. ამ დროს კი მახარაძემ სახეირო ადგილზე მყოფ უჯმაჯურიძეს გადააწოდა და ამანაც იხეირა — 3:0. შეხვედრის შემდეგ ბათუმელთა მთავარმა მწვრთნელმა შოთა ჭეიშვილმა აღნიშნა კიდეც, სტანდარტული მდგომარეობების გამოყენებაზე ბევრს ვმუშაობთო. აკი დაუფასდათ კიდეც. ბათუმელები ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის გამოყენებასაც კარგად ახერხებდნენ, თუმცა კი, თავადაც ხშირად ხვდებოდნენ თამაშგარეში. გვერდითი მსაჯები წარამარა დროშის ფრიალში და ოფსაიდის დაფიქსირებაში იყვნენ. ზოგჯერ სცდებოდნენ კიდეც, მაგრამ ასე მოგებული შეხვედრის შემდეგ ამაზე ლაპარაკი ცოტა უხერხულიც კია. პირველ ტაიმში ჩვენებს კიდევ შეეძლოთ გატანა, მაგრამ ანგარიში უცვლელი დარჩა.

### ცალკარა ბრძოლება

მეორე ტაიმი პირველის ტყუპისცალი იყო. საერთოდ, ჩვენებურ გუნდს, თუ იგებს და თანაც დიდი ანგარიშითაც, სრულ მობილიზაციას ველარ მოთხოვ — აქაოდა, ნახევარი ძალითაც ხომ ვამარცხებ მეტოქესო. ჰოდა, მეორე ნახევარში უამრავი შესაძლებლობიდან მასპინძლებმა მხოლოდ სამი გამოიყენეს. 54-ე წუთზე მუჯირი მშვენიერი დრიბლინგით შეიქმნა „ჰაფნარის“ საჯარიმოში. მისი დარტყმა მცველებმა კი მოიგერიეს, მაგრამ ბურთი კართან „ეულად შთენილ“ ტულუშს მიუვიდა და მანაც ჰეთ-თრიქი შეასრულა — 4:0. ამასობაში შოთა ჭეიშვილმა სათადარიგოებსაც მისცა თავის გამოჩენის შანსი და ტრავმის მიღების შემდეგ პირველად მოედანზე გამოჩნდა პაატა მაჭუტაძე, ვისაც მაყურებელი ოვაციით შეეგება. რადგან მან კანტიძე შეცვალა, ამით ტაქტიკაც ოდნავ შეიცვალა, პაატა წინ უჯმაჯურიძეს ამოუდგა გვერდში. მერე თორლაშვილი ჭიჭვეიშვილმა შეცვალა საყრდენის პოზიციაზე, ტოგონიძე კი — გვარამაძემ. 69-ე წუთზე გატანილი ბურთი მთლიანად უჯმაჯურიძის დამსახურებაა. ოთხი კაცის მომტყუებელმა მეკარეს მეხუთედ გამოატანინა კარიდან ბურთი. თამაშის მიწურულს, 87-ე წუთზე კი დავიდსენმა, მაჭუტაძე რატომღა შევაწუხოო და თავად გაიტანა გოლი საკუთარ კარში. სხვათა შორის, ეს საკმაოდ დიდოსტატურად გამოუვიდა.

ისე, ეს მოყვარულ-მოგზაური ფეხბურთელები სასირცხვილო მარცხს ძალიანაც არ დაუნაღვლიანებია. ის კი არა, 5:0-ზე მიქაელ თომასენმა ისე გაილაღა, რომ ბურთის მიმწოდებელ ბავშვს ხუმრობით წყალი შეასხა, სათადარიგოთა სკამზე მჯდომნი კი თამაშს შიგადაშიგ ადევნებდნენ თვალს და ნახევარშიშველნი მზეს უფრო ეფიცხებოდნენ.

ქართველებმა უხეიროდ მომღერალზე თქმა ვიცით, ხმა თუ არა აქვს, ნამუსი მაინც რაღა უყოო. მაგრამ ფეხბურთის თამაში როგორ უნდა აუკრძალო კაცს და, ეტყობა, უეფაც ამ პრინციპით ხელმძღვანელობს.

### საჩუქრები, საჩუქრები

შეხვედრის შემდეგ ასლან აბაშიძემ ბათუმელ ფეხბურთელებს გამარჯვება მიულოცა და ყველას „ადიდასის“ სპორტული ფორმა აჩუქა, მერე კი ეს განაცხადა:

— ამას წინათ თბილისის „დინამოსთან“ სუპერთასის მატჩს დიდი ინტერესით ვერ ვუცქირე. ახლა კი, რა თქმა უნდა, ძალიან განვიცდიდი და კმაყოფილიც ვარ ჩვენების გამარჯვებით. საერთაშორისო შეხვედრა მაინც სხვაა.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა შოთა ჭეიშვილმა ბიჭებს გამარჯვება მიულოცა, მაგრამ ესაც დასძინა — იმედია, ეს წარმატება არ მოგვადუნებს, აგერ, მალევე, 15 აგვისტოს „გურიასთან“ მნიშვნელოვანი შეხვედრა გველისო. ჩვენ კი ეს გვითხრა:

— რა თქმა უნდა, გამარჯვება გასახარია, თანაც ეს ჩემი საერთაშორისო დებიუტი იყო საკლუბო დონეზე. იმედია, უფრო და უფრო მოვუმატებთ.

**მერაბ მამულაშვილი**
ბათუმიდან

**ბადრი კეთილაძის ფოტოები**



უჯმაჯურიძემ ბევრი იაილა, მაგრამ დუბლი მაინც გააკეთა

### თასების თასის საკვალიფიკაციო წრის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა:

Cup Winners' Cup

ოლიმპია (ლუბლიანა, სლოვენია) — ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) 1:0
ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი, იუგოსლავია) — ჰართსი (ედინბურგი, შოტლანდია) 0:0
ყარაბაღი (აღდამი, აზერბაიჯანი) — მიუპა 47 (ანიალენკოსკი, ფინეთი) 0:1
კოტაიკი (აბოვიანი, სომხეთი) — ა.ე.კ. (ლარნაკა, კვიპროსი) 1:0
ლა ვალეტა (მალტა) — გლორია (ბისტრიცა, რუმინეთი) 1:2
შელბურნი (დუბლინი, ირლანდია) — ბრანი (მინდე, ნორვეგია) 1:3
გლენტორანი (ბელფასტი, ჩრდ. ირლანდია) — სპარტა (პრაღა, ჩეხეთი) 1:2
ხემლონი (ჰუმენი, სლოვაკეთი) — ფლამურტარი (ვლორა, ალბანეთი) 1:0
მ.პ.კ.ს. (მოზირი, ბელარუსი) — რეიკიავიკი (ისლანდია) 2:2
ვარტექსი (ვარაჟდინი, ხორვატია) — უნიონი (ლუქსემბურგი) 2:1
სიონი (შვეიცარია) — კარედა-საკალასი (შაულიაი, ლიტვა) 4:2
კონსტრუქტორული (კიშინიოვი, მოლდოვა) — ირონი (ისრაელი) 1:0
ლანსენტფრეიდი (უელსი) — რუხი (ხოჟუვი, პოლონეთი) 1:1
ჰონვედი (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — სლოგა იუგომაგნატი (სკოპიე, მაკედონია) 1:0
უნივერსიტატე (ლატვია) — ვადუცი (ლიხტენშტეინი) 1:1
ტალინა სადამი (ესტონეთი) — ნივა (ვინიცა, უკრაინა) 2:1

საპასუხო მატჩები 22 აგვისტოს გაიმართება

საქართველოს ჩემპიონატი

2 ტური

მიმოხილვა

# ევროპამ შეგვაგულიანა

მეორე ტური ნაკლული გამოდგა. ეს იყო კიდეც მოსალოდნელი. ჩვენი გუნდების ევროთასებზე მონაწილეობის გამო „ბათუმისა“ და „შევარდენის“ შეხვედრა იმთავითვე გადაიდო, „დინამო“ — „მარგვეთი“ კი კალენდარში მაინც დარჩა. „მარგვეთმა“ როგორღაც კი მოახერხა და ევროტურნირებს დაეთხოვა, მაგრამ „დინამო“ გავიდა შემდეგ წრეში და ეს მატჩიც გაურკვეველი ვადით გადაიდო. ლიდერთა შეხვედრა არ შედგა, მაგრამ მეორე ტური მაინც საინტერესოდ წარიმართა. სენსაციებიც მრავლად მოხდა და შეუპოვარი ბრძოლაც თითქმის ყველა შეხვედრაში იყო. მიუხედავად იმისა, რომ „ტორპედო“ „ოდიშთან“ ამ კლუბების შეხვედრათა ისტორიაში არნახული ანგარიშით დამარცხდა, უპირველესი მოულოდნელობა მაინც „კოლხეთის“ გამანადგურებელი მარცხი გახლდათ. ფოთელებმა წაგებას კი მიგვაჩვიეს ინტერტოტოზე გამოსვლით, მაგრამ სტარტზე „კახეთს“ 4:0 მოუგეს და დებიუტანტ „მერანთან“ ასე უსუსურად თამაშს მათგან არავინ მოელოდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „მერანის“ გამარჯვება უფრო ამ გუნდის მონდომებამ განაპირობა. ეს, ერთი მხრივ, სასიამოვნოც არის. თბილისელებს ზესტაფონში შემთხვევით წაუგიათ, მაგრამ ამან ფარ-ხმალი არ დააყრევინა, მომდევნო მატჩს მობილიზებულნი შეხვდნენ და აკი გააცამტვერეს შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი. ამაზე ნაკლები სენსაცია არც ზუგდიდში მოხდა. მთელი 6 წლის მანძილზე „ოდიშსა“ და „ტორპედოს“ 13-ჯერ უთამაშიათ და უმრავლეს შემთხვევაში ან ფრეზე შეთანხმებულან, ანაც ერთბურთიანი სხვაობით მოუთავებიათ ბრძოლა. მხოლოდ თითოჯერ მოუგეს ერთმანეთს 4:2 და ერთხელაც „ტორპედომ“ 3:0 დაამარცხა მეტოქე. მაშინაც ამაში მას თუთბერიძის ავტოგოლი დაეხმარა, სხვა დროს კი ყოველთვის უშელავათო ბრძოლა ჰქონდათ. ახლა გაძლიერებულმა „ოდიშმა“ თავისი თამაში „დაიჭირა“ და გადახალისებულ „ტორპედოს“, რომელიც ჯერაც ძიებაშია, 5 უპასუხო გოლი გაუტანა. ამ თამაშის წინ ხობში ქუთაისელებს ავტობუსი გაფუჭებიათ და ავტოსტოპით ჩასულან ზუგდიდში, მაგრამ ასეთ მარცხს უფრო სხვა მიზეზი უნდა ჰქონდეს. „მიოლდესთან“ მატჩის შემდგომ პრეს-კონფერენციაზე ყიფიანმა განაცხადა — ტრაგედიაა, ქუთაისში ფეხბურთი რომ არ არისო. ეს ასეცაა, მაგრამ ქუთაისელებს იმედად ისა აქვთ, რომ ყოველ წელს ახალ გუნდს აყალიბებენ და ბოლოსკენ გუნდის კონტურებიც იკვეთება. ახლაც „ტორპედომ“ ახალი სისხლი გადაისხა, მაგრამ მის მოძლიერებას და წესიერ კლუბად ჩამოყალიბებას არც რამდენიმე თამაში ეყოფა და არც ერთი წელი. თანაც, ვიდრე დაცვის დილემადქცეულ პრობლემას არ მოაგვარებენ, მათგან საკადრის შედეგს არც უნდა ველოდოთ. აი, ზუგდიდში კი სხვაგვარადაა საქმე. ისინი დღევანდელ მდგომარეობას არ სჯერდებიან და, როგორც მურთაზ ხურცილავას მიერ „რეზონანსისთვის“ (სხვა გამოცემაზე წყაროს მიუთითებლად დაყრდნობა აბა რა საკადრისია) მიცემული ინტერვიუდან ირკვევა, უფრო მეტად გაძლიერებას აპირებენ. ზუგდიდში საკლუბო მეურნეობასაც დიდ ადგილს უთმობენ. ახლახანს გაზეთიც გამოუშვეს. „თარჩიას“ პირველი ნომერი დიდი საინტერესოობით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ამ დროისთვის მისი გამოშვებაც საქმეა. დასაწყისი კი ძნელია ყოველთვის.

ყურადღების გამახვილება „გურია“ — „გორდას“ მატჩზეც ღირს. ამ თამაშის შედეგმა ბევრი დააეჭვა. 9 ბურთი ყველა თამაშში როდი გადის. თუმცა მსაჯებმა გულზე ხელი იბაგუნეს და თქვეს, ალალი ბრძოლა იყოო. თუ ასეა, ორივე გუნდს ერთობ მოუნდომებია და „გურიას“ ლამის წაგებული შეხვედრა გამარჯვებამდეც მიუყვანია. ეს კი კარგია, მაგრამ მცველებს აქაც მეტი ყურადღება და გარჯა მართებს.

სასიამოვნოა, რომ ფეხბურთის მიმართ უფრო და უფრო მეტ ქალაქში ჩნდება ინტერესი. რუსეთში ქართველთა მიგრაციამ წესით ჩვენი ჩემპიონატი უნდა დაასუსტოს, მაგრამ მათ ნაცვლად I ჯგუფში გამოსულმა დებიუტანტებმა არცთუ ურიგოდ ითამაშეს და ბევრმა თავიც გამოიჩინა.

40-მდე ფეხბურთელის I ჯგუფში გადმოსვლას თითქოს II ჯგუფის გუნდები უნდა დაეშალა, მაგრამ პირიქით კი მოხდა. სასწაულია ისიც, რომ ბევრმა გუნდმა, წლევანდელზე რომ არაფერი ვთქვათ, ძველი დავალიანება გაისტუმრა. წელსაც გამოვა თითქმის ყველა ფარმ-კლუბი — „ოდიში 2“-ს, კოლხეთი 2“-ს, თბილისის „დინამო 2“-სა და „აზოტს“ ბათუმის, ქუთაისისა და „შევარდენის“ ფარმ-კლუბები დაემატნენ. ერთადერთი, ზესტაფონელთა მეორე გუნდი გაუქმდა, მაგრამ, სამაგიეროდ, დასავლეთში ხობისა და მარტვილის გუნდები დაუბრუნდნენ ჩემპიონატს, აღმოსავლეთში კი — „ლოკომოტივი“ და „35-სტუ“. ხოლო ლაგოდეხის „ჰერეთი“ „ჭაბუკიანს“ შეუერთდა და ესენი ერთი გუნდით იასპარეზებენ. ამან II ჯგუფში გუნდების ზრდა გამოიწვია: დასავლეთში 18 გუნდი გამოვა, აღმოსავლეთში — 22, რამაც თავისი შედეგი უნდა გამოიღოს, I ჯგუფს ცვლა უნდა მოუნახოს. ეს, თავის მხრივ, აუცილებელი და საჭიროა, რადგან ფეხბურთელთა საზღვარგარეთ წასვლას რომ თავი დავანებოთ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბევრი მოთამაშე მობერდა და თამაშს ან უკვე მიანება თავი, ანაც მალე შეეშვება.

ისე ჩანს, ყველა გუნდი საკლუბო განვითარებისკენ თავისი გზით მიდის. ყველას გზა სწორი ვერ გამოდგება, მაგრამ რომ ცდილობენ, ესაც საქმეა. ვინც ეძებს, ის პოულობს, სხვა კი მოპოვებულსაც კარგავს. დასაკარგი ბევრიც არაფერი გვაქვს, მაგრამ ამას თუ არ მოვუფრთხილდით, წლების მერე მივხვდებით, რაც შეგვეშალა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. დასაწყისი, რომ გვეგონა, ისე ცუდი არ გამოდგა. რაც მთავარია, ბრძოლაა, ბრძოლა თავის გასატანად და ამ ბრძოლაში ხელის ჩამოშვების უფლება თავს არავინ არ უნდა მისცეს.

**ვახტანგ ბზიკაძე**

## გაბისონია ბოსმანზე ჭკვიანი ყოფილა

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ახალი საქმე უნდა გარჩეულიყო. ფოთის „კოლხეთში“ მოთამაშე გელა გაბისონია, რომელიც ბოლნისის „სიონში“ გადავიდა და პირველ ორ ტურში უკვე ითამაშა კიდეც, ახალი კლუბის შემადგენლობაში გაურკვეველ სიტუაციაშია. საქმე ისაა, რომ გელას ფოთის გუნდთან ორწლიანი კონტრაქტი ჰქონია დადებული და ჯერ კი მხოლოდ წელიწადი გასულა. ინტერტოტოს თასზე წარუმატებელი გამოსვლისა და „კოლხეთში“ გამეფებული გაურკვევლობის გამო გაბისონიას კლუბიდან წასვლა გადაუწყვეტია, რუსეთში მინდა ვითამაშოო. ფოთელებს გათავისუფლების ფურცელი მიუციათ: თუ რუსეთში წახვალ, არავითარი პრეტენზია არ გვექნებაო, მაგრამ მეორე წერილიც მოუყოლებიათ, საქართველოს რომელიმე გუნდი შენს აყვანას თუ მოინდომებს, საქმე ჩვენთან უნდა დაიჭიროსო. სარუსეთოდ გამზადებული გაბისონია ბოლნისელებს გადაეყარა, ფედერაციაში ის პირველი წერილი წარადგინა და „სიონში“ ჩაირიცხა. ამაზე ფოთელებს პრეტენზია გაუჩნდათ, მაგრამ გაბისონია თავს იმართლებს: ორწლიანი კონტრაქტი კი მქონდა, მაგრამ იმ პირობით, რომ პირველ წელს თანხით უნდა დავეკმაყოფილებინე, მეორე წელს კი ბინითო. პირველი პირობა კი შეასრულეს, მაგრამ წელს ფოთში დარჩენა აღარ მოისურვა. ახლა ფოთელები და ბოლნისელები უნდა შეთანხმებულიყვნენ. საქმე ისეა, პირველ წრეში გაბისონია ველარსად ითამაშებს, ვერც ფოთში, რა თქმა უნდა. „კოლხეთს“ კი მისი რა ინტერესი აქვს, მთელი წრის მანძილზე სკამზე რომ დასვან. ისიც გასათვალისწინებელია, რომ გაბისონია ჯერ კიდევ ოჩამჩირის „ამარანს“ ეკუთვნის, ასეთ ფეხბურთელებს კი, რომელთა კლუბები ჩემპიონატში უკვე მეოთხე წელია, ვერ მონაწილეობენ, ფედერაციაც საგანგებოდ მფარველობს და არავის აჩაგვრინებს. ფოთელთა პოზიციაც ისეთია, რომ საქმე არ უნდა გართულდეს და ეს პრობლემაც უნდა მოგვარდეს.

## ახალი ყველაფერი კარგია?

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის გაზეთის ახალი ნომერი გამოვიდა, რომელსაც ფედერაციის ახალი ემბლემა ამშვენებს. ეს ახალი ღერბი ჩრდილოირლანდიურ და მალტის საფეხბურთო ასოციაციათა ემბლემებს გაგონებს კაცს და უფრო ბოლნისის „სიონსა“ და მალტის ორდენს თუ შეეფერება. გემოვნებაზე არ დაობენ, მაგრამ ფაქტია, მასზე არც ბურთია გამოსახული და არც სხვა რამ სპორტული ფიგურა.

ისე, რას ვერჩოდით ძველ ემბლემას? რას ვერჩოდით იმ არწივსა თუ შევარდენს, რომლის მფარველობით ჩვენმა ნაკრებმა უკვე სახელი დაიგდო? ყველაფერს აქვს თავისი ტრადიცია. ამ ტრადიციას გაფრთხილება უნდა. ისევე როგორც არ შეიძლება ჯერ „გორდა“ გერქვას, მერე „მეტალურგი“, მერე კი ისევ „გორდა“ დაირქვა. არ შეიძლება ლოგო, ემბლემაც ასე დაუდევრად შეცვალო. და თუ მაინცდამაინც გსურს ამის გაკეთება, მაშინ ახალი ძველს უნდა სჯობდეს, ან მისი ფასი მაინც უნდა იყოს.

# რუსეთში ქართული ამინდია

რუსეთში მოთამაშე ჩვენებურებზე ადრეც ბევრი გვიწერია, მაგრამ დღეს მათი რიცხვი ისე გაიზარდა, კაცს შეიძლება სათვალავი აერიოს. ვისაც არ ეზარება, ყველა ჩრდილოეთში გარბის სათამაშოდ. წასულთა უმეტესობამ ახალ გუნდებში გაამართლა, ძირითადშიც ხვდებიან და გოლებიც გააქვთ, თუმც ისეთებიც არიან, რომლებიც ჯერჯერობით სათადარიგოთა სკამს ვერაფრით გასცილებიან.

„ალანიაში“ მოთამაშე ჩვენი ეროვნული ნაკრების წევრები ზაზა რევიშვილი და მურთაზ შელია ახალ სეზონს გამოჯანმრთელებულნი კი შეხვდნენ, მაგრამ როცა შელია ჩვეულ ფორმას იბრუნებდა და გოლებიც კი გაჰქონდა, სწორედ მაშინ დაშავდა და საექიმო შეიქნა. რევიშვილი ავადმყოფობის გამო გაცდენილი მთელი სეზონის შემდეგ ძველებურად ველარ ბრწყინავდა „ალანიაში“, მერე თითქოს ისევ მოყოჩაღდა, მაგრამ მის თამაშს ჯერაც აკლია სტაბილურობა. ზაზა ალბათ მალე აღიდგენს ჩვეულ ფორმას. ყოველ შემთხვევაში, გაზაევს ამის დიდი იმედი აქვს.

ჟურნალისტების და სპეციალისტების ქება ნამდვილად არ აკლია ქემჩუენელ გოჩა გოგრიჭიანს. კვიპროსიდან რუსეთში მიბრუნებულმა გოჩამ უმაღლესი ლიგის რვა მატჩში ისე ითამაშა, რომ იგი მეორე წრის საუკეთესო ახალწვეულად შერაცხეს. გოგრიჭიანმა სოჭელთა გუნდი აშკარად გააძლიერა, „ჟემჩუჟინას“ შეტევები უფრო მიზანსწრაფული და სახიფათო გახადა. სხვას რომ თავი გავანებოთ, ამ გუნდში მოთამაშე სხვა ჩვენებურებმაც უკეთ იგრძნეს თავი: გოგიაშვილი ძირითადში დამკვიდრდა, იონანიძე, თამაში არ გაეა, მეორე ნახევარში არ გამოიყვანონ. ერთადერთი დავით ჯანაშიაა, ჯერჯერობით პატარა პრობლემები რომ აქვს და მუდმივად ვერ თამაშობს. მოკლედ, ჩვენი ეროვნული ნაკრების 32 წლის თავდამსხმელი გოგრიჭიანი ამჟამად საუკეთესო სპორტულ ფორმაშია და შვიდ შეხვედრაში 3 გოლიც გაიტანა (აქედან ბოლოს მიშა ჯიშკარიანის „კამაზი“ გააწყარა), საგოლე გადაცემებიც ბლომად არიგა, ერთი პენალტიც გაუხერხა თავისიანებს და ყველა ამ სიკეთესთან ერთად სამჯერ ყვითელი ბარათიც დაიმსახურა. მისი ესოდენ კარგი თამაში, ცხადია, ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობისთვისაც გასახარია.

კამაზელი მიხეილ ჯიშკარიანი სისტემატურად კი თამაშობს ძირითადში, მაგრამ ჯერჯერობით შედეგიანობით მაინც და მაინც ვერ დაიკვეხნის. არადა, გუნდის ხელმძღვანელობა სწორედ მისგან გახსნას და მის გოლებს ელოდება.

მოსკოვის „ლოკომოტივში“ მოთამაშე ზაზა ჯანაშიას საქმე მთლად აწყობილი ვერ არის. გეხსომებათ ალბათ, რა სიხარულით მიიღო მთავარმა მწვრთნელმა იური სიომინმა „სამტრედიიდან“ წასული ფეხბურთელი — ეგ არის, გოლების გამტანი ჯანიანი ბიჭი ვიშოვეო, მაგრამ ზაზა ჯერ ვერ უმართლებს. აშკარაა, რუსულ ფეხბურთთან შეგუება მას ძალზე გაუჭირდა. მოსკოვში წასვლამდე ჯანაშია დიახაც რომ იქადნებოდა, სეზონში 20 გოლზე ნაკლებს არ შევაგდებო, მაგრამ გოლი კი არა, შეცვლაზეც კი იშვიათად შეყავთ. სიომინი მაინც არ კარგავს იმედს და ჯანაშია ყველა თამაშის წინ, თუ, რა თქმა უნდა, ტრავმა არ აწუხებს, განაცხადში შეყავს.

სამარის „კრილია სოვეტოვში“ მოთამაშე მამუკა მინაშვილს სეზონის დასაწყისში კარგად აეწყო საქმე. მოსკოვის „სპარტაკს“ სკანდალურ თამაშში გოლიც გაუტანა. ერთი სიტყვით, ურიგოდ ნამდვილად არ თამაშობდა, მერე და მერე კი რატომღაც უკლო და ახლა სულაც ძირითადშიც ვერ ხვდება.

დღეისათვის ვერც „ლადას“ შეტევების ლიდერი ვასილ სეფაშვილი ბრწყინავს. არადა, ტოლიატელთა გუნდი უმაღლეს ლიგაში რომ თამაშობს, ამაში უდიდესი წვლილი სწორედ ვასოს მიუძღვის. პირველ ლიგაში თითქმის ყოველ ტურში გაჰქონდა, აი, უმაღლესში კი უწინდელი შედეგიანობა დაკარგა. ისე, ბოლო ტურში სეფაშვილმა ძველებური გაიხსენა და, „ლადამ“ შინ „ურალმაშს“ 3:2 რომ მოუგო, ტოლიატელთაგან პირველი გოლი მეოცე წუთზე მან გაიტანა.

„როსტსელმაშში“ მოთამაშე ეროვნული ნაკრების მეკარეს აკაკი დევაძეს მთავარი მწვრთნელი ანდრეევი რომ არ სწყალობს, ადრეც გვითქვამს. მერე ის იყო, რომ მწვრთნელის რჩეული ვლადიმიროვი დაშავდა და ანდრეევსაც სხვა გზა აღარ ჰქონდა, ისევ აკაკი უნდა გამოეყვანა. დევაძეც ნელნელა შედიოდა ფორმაში და ბოლოსკენ ჩვეულად ათამაშდა, მაგრამ ვინ აცალა. რაღაც ჭირად, ვარჯიშზე მარჯვენა მხარ-მკლავი დაიზიანა და სამკურნალოდ წამლის ძიებაში რომ იყო, აკი გაუწყვეთ კიდეც. კაკომ მხარი თითქოს მოარჩინა, მაგრამ არც ანდრეევი მჯდარა უქმად და, იმდენი ქნა, თვალშიმოუსვლელ ჩვენებურს მალე გამოუძებნა კონკურენტი, გვარად რიპანი. რიპანმა გაუმართლა და ახლა კაკო კი არა, გამოჯანმრთელებული ვლადიმიროვიც თადარიგში უზის. თუ დევაძემ მაინც გამონახა საერთო ენა ანდრეევთან, ურიგო ნამდვილად არ იქნება, თუ არა და, მაინცდამაინც არც სეზონის ბოლოა შორს და იმედია, კაკო იპოვის ისეთ კლუბს, სადაც მის დამსახურებას წყალს არ გაატანენ, ნაჯაფარს უმადურად არ დაუტოვებენ და დააფასებენ კიდეც.

ახლა პირველ ლიგაში მოთამაშე ჩვენებურებიც მოვიკითხოთ. ყველა მათგანმა თავიანთი გუნდების ძირითად შემადგენლობაში უკვე დაჯავშნა ადგილი. პეტერბურგულ ქართულ ტრიოზე — ბურნაძეზე და ძმებ კილასონიებზე ადრეც ვწერდით. ამათ საქმეები მართლაც ჩინებულადააწყვეს. ვარლამ კილასონია ლიგის ბომბარდირიც კია. მართალია, ერთი ხანობა ტრავმის გამო ვერ ითამაშა, მაგრამ უკვე მოშუშდა და ამჟამად სამივე ქართველი ისევ ძირითადშია. ოღონდ ეგაა, უფროსმა კილასონიამ თავის მონაგარ 16 გოლს ჯერჯერობით ველარ შემატა. „ლოკომოტივ-სატურნმა“ ბოლო შეხვედრები წააგო და ამჟამად გათამაშების ცხრილში მეათე ადგილზეა. სანამ უფროსი ძმა ფორმას აღიდგენდეს, მანამდე გოლები უმცროსს გააქვს. გიამ ნალჩიკში იქაურ „სპარტაკს“ მეთხუთმეტე წუთზე გაუტანა და ანგარიშიც გაათანაბრა, მაგრამ პეტერბურგელებმა 2:3 მაინც წააგეს.

სტავროპოლის „დინამომ“ შინ 3:2 დაამარცხა იაროსლავლის „შინიკი“ და ცხრილში მეოთხე საფეხურზე აინაცვლა. ამ საქმეში თავისი წილი ქუთაისელმა ლეგიონერმა მამუკა ხუნდაძემაც დაიდო. იგი ადრეც გამოირჩეოდა შედეგიანობით და თავი არც ამ ბოლო თამაშში შეურცხვენია. მასიანები 0:1 რომ აგებდნენ, ხუნდაძემ მე-19 წუთზე ანგარიში გაათანაბრა და გამარჯვებაც მოიახლოვა. ამის წინა ტურშიც ჰკაგდო მამუკამ გოლი და მაშინ თავისი გუნდი ნიჟნეკამსკში, ადგილობრივ „ნეფტეხიმიკთან“ დააწინაურა, მაგრამ მასპინძელთა ახალმა ლეგიონერმა თამაზ კილაშვილმა გააყაიმა. თამაზმა შემდეგ მატჩშიც გაიტანა, ამჯერად საჯარიმო დარტყმით არზამასში „ტორპედოსთან“.

ერთამად ოთხი იმერელი — ქუთაისელები ჩხაბერიძე, კაირგობაძე, ნოზაძე და ბაღდათელი ენდელაძე ვლადივასტოკის „ლუჩის“ ძირითადში არიან. ჩვენი შარშანდელი ჩემპიონატის ბომბარდირს ენდელაძეს გოლების გატანა შორეულ აღმოსავლეთში ჯერ არ დაუწყია, თუმცა, ჯერ მხოლოდ ორ შეხვედრაში ითამაშა. ეტყობა, ზვიადს აკლიმატიზაციის პერიოდი ჯერ არ გაუვლევია. ბოლო ტურში „ლუჩმა“ დიდი ანგარიშით, 1:4 წააგო კრასნოდარში „კუბანთან“. ოთხივე ქართველმა ითამაშა, სტუმართა ეს ერთადერთი გოლიც ნოზაძემ გაიტანა. „ლუჩი“ ამჟამად მე-17 ადგილზეა ცხრილში.

უფრო შავად აქვს საქმე მანაგაძის, ფორჩხიძის და წიქარიშვილის „ოკეანს“. ნახოდკის გუნდმა ისევ წააგო, ამჯერად მაიკოპის „დრუჟბასთან“. ნახოდკელებმა შეხვედრა მინიმალური ანგარიშით 0:1 დათმეს. წაგებამ „ოკეანი“ მე-19 საფეხურამდე დააქვეითა. წიქარიშვილი და ფორჩხიძე მუდამ გამოჰყავთ სასტარტო შემადგენლობაში, მანაგაძე კი უმეტესწილად მეორე ნახევარში გამოდის.

**მამუკა კვანტალიანი**



გიორგი მინაშვილის და „კრილიას“ საქმეები უკან-უკან მიდის

ITALIA vs GEORGIA

ქალაქი უცნობია. 9 ოქტომბერი

# რომაული არდადეგები

საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატს 9 ოქტომბერს იწყებს. ესეც ისტორიული თარიღია — ჩვენებს ხომ აქამდე, ამ უდიდეს საფეხბურთო შეჯიბრებაში არასდროს მიუღიათ მონაწილეობა. ბედმა უძნელესი შესარჩევი ჯგუფი გვარგუნა: იტალია, ინგლისი, პოლონეთი და მოლდოვა. ნეტავ რუსების ბედი მოგვცა, მათ ხომ სულ ლუქსემბურგი, ისლანდია, ფინეთი და ამგვარი გუნდები ხვდებაო, გაიგონებთ ხშირად. ნება დაგვრთეთ, ამ წუწუნს არ შევუერთდეთ და საკითხს სხვაგვარად შევხედოთ. ვფიქრობთ, დამოუკიდებელი საფეხბურთო ცხოვრების პირველსავე წლებში ჩვენ ციდან ვარსკვლავების მოსაწყვეტად ვერ ვიქნებოდით მზად. არც ვართ. ამის თქმით ჩვენი მოთამაშეების ნიჭს და უნარს სულაც არ ვაკნინებთ. პირიქით, ვთვლით, რომ დღეს საქართველოს ეროვნულ გუნდში არის ფეხბურთელთა ისეთი ჯგუფი, მაღალი ამოცანების დასახვა და გადაჭრა რომ შეუძლია. ალბათ ამასვე ეყრდნობიან ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელები, როდესაც ხმამაღლა აცხადებენ, ჩვენ ჯგუფიდან გასვლისთვის ვიბრძოლებთო. დიდებული და სწორად დასახული ამოცანაა. განა ვინმე (მწვრთნელი, ფეხბურთელი, ჟურნალისტი თუ გულშემატკივარი) ამბობს, აუცილებლად გავალთო? არა, ლაპარაკია ბრძოლაზე, რაც მშვენიერია. ღმერთმა ქნას გავიდეთ, მაგრამ თუ ღირსეულ ბრძოლაში დავმარცხდით, ტრაგედია არ იქნება. ის კი არა, ტაშსაც დავუკრავთ ყველანი. ასე, უძლიერეს მეტოქეებთან უშიშარ გაჯიბრებაში იყრება საფუძველი, აგური აგურზე იდება და მზადდება გამარჯვების წამი. ამიტომაც სჯობს ძლიერი ჯგუფი სუსტს, რომელიც არაფერს მოგცემს. სუსტის ძიების ლოგიკა ცუდია, უპერსპექტივო. იოლი გამარჯვებები თუ გვინდოდა, ვინ გვრჯიდა უეფაში რომ შევდიოდით, გავწევრიანებულიყავით აზიის საფეხბურთო სამზოში და სადაც უზბეკეთი გაჩემპიონდა, ჩვენც არ დავაკლებდით. ჰოდა, ვიტყოდით მერე — აზიაში ჩვენ ვართ, ევროპაში კი გერმანიაო.

მოკლედ, საწუწუნო არაფერი გვაქვს, მთავარია გავისარჯოთ, არ შეგვეშინდეს, რაიმე არ ვიბედოვლათოთ და იტალიას და ინგლისს დღესვე თუ ვერ მოვიტოვებთ უკან, ეგ არაფერი. ვერ ვიტყვით, მომავალი სულ ჩვენი იქნებაო, მაგრამ ქართველების საფეხბურთო ნიჭიდან გამომდინარე, პერიოდულად, დიდი გამარჯვებების იმედი უნდა გვქონდეს. და კვლავ გავიმეორებთ — ღმერთმა ქნას, ახლავე მოვიგოთ.

ეს შესავალი 9 ოქტომბრის მატჩს ვუძღვენით, რომელზეც კიდევ დავწერთ. ამ წერილში კი დღეს იტალიურ ფეხბურთში შექმნილ მდგომარეობაზე ვისაუბროთ.

იგი ჩვენს მომავალ თამაშთან პირდაპირ კავშირშია. საქმე იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ძველი პრეზიდენტის გადადგომასა და ახლის არჩევას ეხება. ძველ პრეზიდენტს, რომელიც თანამდებობაზე რვა წლის მუშაობის შემდეგ, ოთხი დღის წინ, სამშაბათს გადადგა, სახელად ანტონიო მატარეზე ჰქვია. იტალია — საქართველოს მატჩთან კი მის წასვლას იმიტომ აქვს კავშირი, რომ მატარაზე „სკუადრა ადურას" ახლანდელი მწვრთნელის, არიგო საკის პროტეჟეა, მისი მხარდამჭერი. მატარაზე ის კაცია, რომელმაც საკის ევროპის პირველობამდე დაუდო ახალი კონტრაქტი 1998 წლამდე და ინგლისიდან იტალიელთა ნაადრევი დაბრუნების მიუხედავად აცხადებდა, თუ მე ვიქნები, საკიც თანამდებობაზე დარჩებაო. მოკლედ, მატარეზემ დინების წინააღმდეგ გასცურა. საკის და შესაბამისად მის წინააღმდეგ აჯანყდა ყველა იტალიური კლუბი, პრესა-ტელევიზია, ტიფოზების ლაშქარი. ამას ზედ ოლიმპიური ნაკრების ჩაფლავებაც დაერთო. თანაც ახლოვდებოდა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები და მატარეზემ გადარჩევას გადადგომა არჩია.

5 500 პროფესიული და სამოყვარულო კლუბის წარმომადგენელი, სამშაბათს, 14 საათის განმავლობაში ცდილობდა ახალი თავკაცის არჩევას. ჩატარდა არჩევნების ორი ეტაპი, მაგრამ ამაოდ. შემდგომი მცდელობა 60 დღის მერე მოეწყობა — 5 ოქტომბერს. ხედავთ, იტალიელებს პრეზიდენტის ამბავი 5 ოქტომბრამდე არ ექნებათ გარკვეული, 9-ში კი იტალია — საქართველოს მატჩია. საკი? რა ბედი ეწევა მანამდე საკის? ვინ მოამზადებს ჩვენთან სათამაშოდ „სკუადრა ადურას"?

არა, ამ ხალხის გიჟებად ჩათვლა არ ეგების. ისე არ იფიქროთ, თითქოს მანამდე აურზაურს მოიწყობენ. შექმნილი მდგომარეობა მათ საფეხბურთო საქმეებზე ერთგვარ გავლენას იქონიებს (უარეს შემთხვევაში), მაგრამ გონს არ დაჰკარგავენ. უფრო სწორედ არ დაჰკარგავენ ფულს, რომელიც თავიანთი ჩემპიონატიდან გვარიანად შესდით.



ანტონიო მატარეზე გადადგა

არდადეგები კი მთავრდება, ჩემპიონატი 8 სექტემბერს იწყება. შეატყვეს რა, რომ ახალი პრეზიდენტის არჩევაში ვერ თანხმდებიან, იქვე დასახეს გამოსავალი. ფეხბურთის ფედერაციის დროებითი გამძღოლის დანიშვნა ოლიმპიურ კომიტეტს და მის პრეზიდენტს მარიო პესკანტეს მიანდეს. პესკანტე ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში დასასვენებლად აპირებდა დარჩენას, მაგრამ სასწრაფოდ რომში დაბრუნებამ მოუწია.

სანამ პესკანტე კანდიდატურის შერჩევაზე ფიქრობს, ჩვენ ისა ვთქვათ, თუ რატომ ვერ აირჩიეს იტალიელებმა ახალი პრეზიდენტი. საქმე ისაა, რომ, როგორც გაუწყეთ, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობაზე ასვლის სურვილი ორმა მოქიშპემ გამოთქვა. ერთია საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტი ლუჩანო ნიცოლა, რომელსაც A და B სერიები უჭერენ მხარს, მეორე კი ჯანკარლო აბეტე, სერია C-ს გუნდების რჩეული კაცი. სწორედ მათ შორის უპირატესის გამოსავლენად გაიმართა ზემოხსენებული 14 საათიანი არჩევნები. მოხდა უცნაური რამ: ნიცოლამ აბეტეზე მინიმუმ სამჯერ მეტი ხმა მოაგროვა, მაგრამ უჩვეულო კანონის გამო ვერ გაიმარჯვა. წესი ასე ყოფილა: იმისთვის რომ მოიგო, ყველა სერიაში ხმათა მესამედი მაინც უნდა მიიღო, სერია C-მ კი ნიცოლა უარჰყო.

— მაინტერესებს, სხვაგან სად შეიძლება მოხდეს ასეთი რამ, ერთმა 30 ხმა მიიღო, მეორემ 4 ათასი, გამარჯვებული კი ვერ გაირკვა — ირონიულად განაცხადა ნიცოლამ — ასეთი შედეგის შემდეგ უკან როგორ დავიხიო?!

იტალიურმა ფეხბურთმა თავისთვის კარგი სურათი ვერ დახატა — შეაფასა არჩევნები აბეტემ.

თავისი შეხედულება, ცხადია, იტალიურმა პრესამაც გამოთქვა. „გაძეტა დელო სპორტი" წერდა: „ეს იყო იტალიური ფეხბურთის ყველაზე გრძელი და მდაბალი დღე. ჩატარდა არჩევნების ორი ტური, სიმართლე კი ერთია — იტალიურ ფეხბურთს პრეზიდენტი არ ჰყავს, არ ჰყავს მთავრობაც. სამაგიეროდ ხავსეა სკანდალით, სიმდაბლით და დაძაბულობით".

ასეა, ჩვენი მომავალი მეტოქის, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის ქვეყანაში საფეხბურთო არეულობაა, მაგრამ ამას ჩვენთვის, საბოლოოდ, მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს, ჩვენი მიზანი, რომელსაც, იმის მიუხედავად, სად რა მოხდება, თანმიმდევრულად უნდა მივდიოთ.

**ილია ბაბუნაშვილი**

## „მანჩესტერ სიტი" ვაჭრობს

გიო ქინქლაძისა და მიხეილ ყაველაშვილის „მანჩესტერ სიტი" ახალი თავდამსხმელის ყიდვას ცდილობს, მაგრამ ვაჭრობა გაუჯანჯლდა. მანჩესტერელებს ავსტრალიის „ადელაიდა სიტის" ფორვარდის, დემიან მორის შეძენა მონდომებიათ და თავიანთ ჩინურ ტურნირზე მიჰყავდათ კიდეც, ოღონდ დაიტოვებენ თუ ვერა, ჯერ საკითხავია. საინტერესო ისაა, რომ მხარეები თანხაზე შეთანხმდნენ, მისი გადახდის წესი და ფორმა კი ვერაფრით მოილაპარაკეს. თანხა 1 მილიონი ავსტრალიური დოლარია, რაც ინგლისურად 500 ათას გირვანქას ნიშნავს. „მანჩესტერ სიტის" ვარიანტი ასეთია: წინასწარ 500 ათასი ავსტრალიური დოლარის გადახდა, 20 თამაშის შემდეგ 300 ათასის დამატება, 40-ის შემდეგ კი ბოლო 200 ათასის მიცემაც. ავსტრალიელები წინასწარ 700 ათასს ითხოვენ, რადგან შიშობენ, რომ ინგლისის გუნდი მათ ფორვარდს ერთ მშვენიერ დღეს დაიწუნებს და ფულს აღარ გადაიხდის.

მორი გასულ სეზონში ავსტრალიის პირველობაზე 33 გოლის ავტორი გახდა, ამათგან ერთი კი თამაშის მე-4 წამზე გაიტანა, რაც კენგურუთა სამშობლოს რეკორდია.

## მარადონას ფიასკო

„ბოკა ხუნიორსი" არგენტინის ჩემპიონატის მატჩს „რასინგთან" 0:1-ს აგებდა, როდესაც მისი მოთამაშე ხუან ვერონი მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა, კლაუდიო უბედამ კი სარმა გამოსდო. დაინიშნა პენალტი, რომლის დარტყმაც დიეგო მარადონამ ითავა. მან მეკარისგან მარცხენა კუთხეში დაარტყა, მაგრამ გოლკიპერმა იგნასიო გონსალესმა ალღო აუღო და ბურთი მოიგერია. „ბოკას" სერხიო მარტინესმა დაამატა, თუმცა გონსალესს ვერც მან აჯობა. მეტი გოლი აღარ გასულა. „ბოკა ხუნიორსმა" სატურნირო ცხრილში „ველეზ სარსფილდის" დაწევის თეორიული შანსიც დაჰკარგა. ამგვარად, ზედიზედ მეორე წელია, რაც „რასინგი" „ბოკას" ამწარებს. 1995-ში მან 6:4 გაიმარჯვა და მაშინაც დიეგოს გუნდს ჩემპიონობაზე ფიქრი მოუსპო.

— ჩემპიონატი დამთავრდა. სიკვდილი მინდა. განადგურებული ვარ — უთხრა მარადონამ გაზეთ „ლა ნასიონის" კორესპონდენტს.

## ფავორიტები ისინი არიან

გასულ სეზონში ინგლისის ჩემპიონისა და თასის მფლობელის „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა ხუთშაბათს ინგლისის მოახლოებული ჩემპიონატის შესახებ ილაპარაკა.

— მას მერე, რაც ალან შირერი შეიძინა, „ნიუკასლი" ფავორიტი გახდა. ამას სრულიად გულწრფელად ვამბობ. ამაში დარწმუნებული ვარ — თქვა მან.

მწვრთნელმა იქვე დასძინა, რომ ეს განცხადება კაპიტულაციას სულაც არ ნიშნავს. მისი თქმით, ახლა ნიუკასლელები ენით აუწერელ ოპტიმიზმს განიცდიან, მაგრამ მანჩესტერელები თავიანთ საქმეს განაგრძობენ.

— ახალ სეზონში ჩვენ და ისინი დიდ ბრძოლას გავმართავთ, მაგრამ ჩვენ ჩემპიონთა ლიგაშიც გვაქვს სათამაშო და ეს დიდ დროს წაგვართმევს. არა უშავს, საქმეს ბეჯითად განვაგრძობთ — დასძინა ფერგიუსონმა.

კვირას ეს ორი გუნდი „უემბლიზე" საქველმოქმედო მატჩში ხვდება ერთმანეთს. მანჩესტერელთა მწვრთნელის თქმით, შირერის გახმაურებულ ტრანსფერთან დაკავშირებული ხმაური ამ მატჩისადმი ინტერესს ზრდის. სტადიონი შეივსება, რაც ლოგიკური და კარგია, მაგრამ „იუნაიტედი" გამარჯვებას აპირებს.

## წამო ჩემთან

„მონაკოს" ყოფილი მწვრთნელი არსენ ვენგერი აგვისტოს ბოლომდე იფიქრებს და გადაწყვეტს — დათანხმდეს თუ არა გლენ ჰოდლს ინგლისის ნაკრების ტექნიკურ დირექტორად გახდომაზე.

— მე პირადად გლენი დამიკავშირდა — თქვა ვენგერმა იაპონიიდან სატელეფონო ინტერვიუში — მაგრამ ჯერ უნდა ვიფიქრო. აქ თავს ძლიერ ბედნიერად ვგრძნობ.

47 წლის მწვრთნელის ორწლიან კონტრაქტს იაპონური ჯეი-ლიგის კლუბ „ნაგოია გრემპუსთან" ვადა დეკემბერში გასდის. იგი მის განახლებაზეც კი ფიქრობდა, მაგრამ თავისი ყოფილი ფეხბურთელის გლენ ჰოდლის ზარმა საგონებელში ჩააგდო.

ვენგერი „მონაკოს" 1987 წლიდან 94-ის სექტემბრამდე წვრთნიდა. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა 1988 წელს საფრანგეთის ჩემპიონობას მიაღწია, 1992-ში კი თასების თასის ფინალში იყო. მისი მოთამაშე ჰოდლი 1987-ვე გახდა და 1990-მდე „მონაკოში" ილვწოდა. მერე გადავიდა ინგლისის მეორე ლიგის „სვინდონ თაუნში" მოთამაშე მწვრთნელად.

რაც შეეხება ტექნიკური დირექტორის თანამდებობას, იგი ინგლისის ნაკრებში 1993 წლიდან ვაკანტურია.

# აღორძინება

## დღეს საფრანგეთის ჩემპიონატი იწყება

პირველი დივიზიონიდან ორი წლის წინ გავარდნილი მარსელის „ოლიმპიკი" დაბრუნებას „ლიონთან" საშინაო მატჩით აღნიშნავს. „მარსელის" ბედი ასეთია: მთელი თავისი არსებობის მანძილზე იგი ხან ლიგიდან ვარდება, ხანაც კვლავ აღზევებული ძლიერდება და მეტოქეები ბლლვნად არ ჰყოფნის. მაგალითად, 60-იან წლებში ხმელთაშუაზღვისპირელებმა სამი წელი მეორე დივიზიონში გაატარეს, შემდეგ კი სამოცდაათიანების ბრწყინვალე ხანა იგემეს. მაშინ გუნდში იუგოსლაველი იოსიფ სკობლარი და შვედი როჯერ მაგნუსონი თამაშობდნენ. 1980 წელს „ოლიმპიკი" კვლავ ქვედა ლიგაში ჩაეშვა და ოთხი წელი იქ იხლაფორთა, მაგრამ 1984-ში უკან დაბრუნდა, გაძლიერდა და ზედიზედ ხუთჯერ მოიპოვა საფრანგეთში უძლიერესის ტიტული. 1993-ში გუნდს უდიდესი ბრწყინვალებისა და ტალახში ამოსვრის წამი ერთდროულად დაუდგა. ეს ის წელია, როდესაც მან ცალკერძ ჩემპიონთა თასი მოიგო, დაამარცხა რა ფინალში სუპერ-„მილანი", ცალკერძ კი შინაურ პირველობაზე „ვალანსიენის" მოქრთამვის გამო პირველი დივიზიონიდან კვლავ დაითხოვეს. წლეულს კვლავ დაბრუნდა.

წესით „ოლიმპიკს" ახალი ოქროს ხანა უნდა დაუდგეს. დავიწყოთ იმით, რომ სპორტული ტანსაცმლის გიგანტმა „ადიდასმა" ივლისში კლუბთან განვითარების ხუთწლიანი ხელშეკრულება დასდო. ბედის ირონიაა. „მარსელის" წინა, გალანძღული პრეზიდენტი ბერნარ ტაპი, ახლა ხუთი წლით ციხეში რომ ზის, 1990 წელს ხომ სწორედ „ადიდასის" მფლობელი გახდა, თუმცა ორ წელიწადში ფირმა მის ახლანდელ მეპატრონეს, რობერტ-ლუი დრეიფუსს და ორ ფრანგულ ბანკს მიჰყიდა. ახლა კი, როდესაც მარსელის გუნდს ტაპის დაუძინებელი მტრები პატრონობენ, „ადიდასი" დაბრუნდა. „ოლიმპიკის" პრეზიდენტი და ტაპის მოძულე კი ქალაქის მერი ჟან-კლოდ გუდინი გახლავთ. გუნდში დააბრუნეს 1990 წელს ტაპის მიერ გაძევებული მთავარი მწვრთნელი ჟერარ ჟილიც. ჟილმა ოპტიმისტური ინტერვიუები დაარიგა. მან თქვა, რომ „მარსელს" შესწევს უნარი ამ სეზონში იბრძოლოს უეფას თასზე გამსვლელი ადგილისთვის. მას ხმა გენერალურმა მენეჯერმა ჟან-მიშელ რუსემაც შეუერთა. მისი თქმით, „მარსელი" ჩვეულებრივი გუნდი არაა და ამბიციებს ვერ დათმობს. თუმც ახალი დაბრუნებულია, გუნდი მე-17 ადგილით და ლიგიდან არგავარდნით ვერ დაკმაყოფილდება. ის კი არა, მარსელელებმა აქედანვე დაიწყეს ევროთასებზე ფიქრი.

საამისოდ „ოლიმპიკმა" ძლიერი ფეხბურთელებიც შეიძინა. განა ანდრეას კეპკეს, იორდან ლეჩკოვისა და რეინალდ პედროსის ჩამოთვლა საკმარისი არაა? თუმცა არა, ველოდრომელ (სტადიონია) ქომაგებს ჟან-პიერ პაპენისა და რიკარდოს გადაყვანის იმედიც აქვთ.

— მე „მარსელი" იმიტომ ავირჩიე, რომ მწამს, ეს კლუბი მალე ისევ ევროპაში დაიქუხებს — თქვა კეპკემ, რომელსაც პარტნიორობას გაუწევენ ოდინდელი მარსელელი ჟან-ფილიპ დურანი და გუნდის კვლავ ზედა ლიგაში გადმომყვანი ფეხბურთელები, მაგალითად, ირლანდიელი ტონი კასკარინო.

„ოლიმპიკისკენ" გული ფრანგული ფეხბურთის შეფებსაც მიუბრუნდათ. საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტმა ნოელ ლე გრეტმა განაცხადა:

— ტაპის საზიზღარი ერა საბოლოოდ დამთავრდა და აწი გუნდს ბედნიერ მომავალს ვუსურვებ. „ადიდასი" ძლიერი პარტნიორია, ფეხბურთში მუშაობის უდიდესი გამოცდილებით და ვთვლი, რომ „მარსელს" მომავალზე სადარდებელი აღარ აქვს.

## რუსეთი

21-ე ტური: ლოკომოტივი — კრილია 1:1, ზენიტი — როსტსელმაში 0:2, ბალტიკა — კამაზი 0:0, ლადა — ურალმაში 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალანია | 21 | 14 | 4 | 3 | 40:20 | 46 |
| სპარტაკი | 21 | 12 | 6 | 3 | 38:16 | 42 |
| როტორი | 19 | 12 | 5 | 2 | 33:13 | 41 |
| დინამო | 21 | 11 | 7 | 3 | 33:17 | 40 |
| ცსკა | 21 | 11 | 6 | 4 | 31:19 | 39 |
| ტორპედო | 21 | 8 | 7 | 6 | 26:25 | 31 |
| ნოვგოროდი | 20 | 9 | 3 | 8 | 19:26 | 30 |
| ლოკომოტივი | 21 | 7 | 9 | 5 | 22:16 | 30 |
| ზენიტი | 21 | 8 | 4 | 9 | 21:22 | 28 |
| როსტსელმაში | 20 | 7 | 6 | 7 | 38:31 | 27 |
| ბალტიკა | 21 | 6 | 9 | 6 | 23:21 | 27 |
| კრილია | 21 | 6 | 7 | 8 | 15:24 | 25 |
| ჟემჩუჟინა | 21 | 7 | 3 | 11 | 24:34 | 24 |
| ჩერნომორეცი | 21 | 5 | 5 | 11 | 20:30 | 20 |
| ლადა | 20 | 4 | 5 | 11 | 12:30 | 17 |
| კამაზი | 21 | 4 | 4 | 13 | 18:36 | 16 |
| ურალმაში | 20 | 2 | 6 | 12 | 19:37 | 12 |
| ტექსტილშჩიკი | 21 | 1 | 8 | 12 | 11:26 | 11 |

გოგი ახვლედიანის

## სვეტი

[illegible]

გრძელთმიანი კანიჯა მირჩევნია გაპრეჭილ ბასედას

საკვირველია პირდაპირ, დიდი ფეხბურთელები თამაშს რომ დაანებებენ თავს და ჩვეულებრივ მწვრთნელებად გადაიქცევიან ხოლმე. იყო დრო, როდესაც დანიელ პასარელა არგენტინელებს კაპიტნობდა და ყველანი დამეთანხმებით, ძნელი იყო იმ საფეხბურთო ეპოქაში უფრო ჯიგრიანი, წაუქცეველი და გაუტეხელი ფეხბურთელის ამორჩევა. პასარელა ბელადი იყო.

ახლა პასარელა მწვრთნელია და მთელი თავისი არსებით ეწინააღმდეგება იმას, რასაც მოედანზე აკეთებდა ფეხბურთელობის დროს. ყოველ შემთხვევაში, სტაბილურ ფეხბურთელ პასარელას მოუხერხებია და არასტაბილური გუნდი ჰყავს. თვით არგენტინული გაზეთებიც კი მის გუნდს „მდაბიურთა შემადგენლობას" უწოდებენ.

ორი წელიწადია, რაც უფალი დანიელი ნაკრებს უდგას თავში და ერთადერთი, რისთვისაც ყველაზე დიდი ხმაური ატეხა, კანიჯას თმა იყო. მორალურ იერს დააწვა, ესე იგი. ამ ორ წელიწადში პასარელამ მოახერხა ბრაზილიელების დამარცხება და ამერიკასთან წაგება, ესპანელებთან მოგება და ნიგერიელებთან ლაფში ამოსვრა.

ოლიმპიური გუნდიო. ოლიმპიური გუნდი ხომ ხვალინდელი ნაკრებია. თანაც ვინ არის უწვერული: სიმეონე, სენსინი, ორტეგა, შამოტი, კრესპო თუ ძანეტი?

არა, ძმობილო, თუ არგენტინელი ხარ, ორგვარად თამაში შეგიძლია — ან ზუბელდიურ-ბილარდოულად, ან მენოტი-ბაზილეურად. ორივენაირად თამაში რთული და სახახელოა, მაგრამ თუკი არგენტინელი ხარ, მესამე გზა არ არსებობს.

პასარელა პერესტროიკელი ქართველივით მესამე გზას ეძებს.

ახლა ვიცი, ამუნიკე ოფსაიდშიო და ათასი სხვა რამ, მაგრამ... მე რა ვუთხრა პამპის იმ შვილს, ამუნიკეს ოფსაიდზე რომ დაჰკიდებს თავის ბედს. მოტელეპილმა იტალიელმა, რომელიც თეთრ რეჯი მილერს ჩამოჰგავდა, ტყვილი პენალტი დადოო, მერე სამი აღარ დადოო და ა.შ.

ამას იმდენადაა აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც მსაჯთა საყოველთაო ხიბრიყვე გვიჩვენოს. სხვამხრივ კი ნიგერიელთა გამარჯვება აშკარაა. ჯერ კიდევ ამერიკაში, ამ გუნდს კოჭებში ეტყობოდა, რომ რაღაცას მოიგებდა.

იანვარში, როდესაც პირშავმა გენერალმა სანი აბაჩამ აფრიკის თასზე არ გაუშვა, ვიფიქრე ესენი ვეღარაფერს მოიგებენთქვა. თურმე, ოლიმპიადა ჰქონიათ შემონახული.

ნიგერიელები ისევე კარგად თამაშობდნენ, როგორც ცეკვავდნენ. ორი წლის წინ, როცა ფინიდიმ ძაღლისებურად მოისაქმა კუთხურის ალამთან, მსოფლიომ დასცინა. ახლა სელესტინმა დამბლადაცემულის ცეკვა შეასრულა, კანუმ კი სირაქლემური. ზალხი მიეჩვია ნიგერიას.

ამ ფეხბურთელებს უკვე აქვთ გამოცდილება. ოცი წლის მოზარდ კანუს მოგებული აქვს ჰოლანდიის ჩემპიონობა (ორჯერ), ჩემპიონთა თასი (ერთხელ, ორი ფინალიდან) და საკონტინენტთაშორისო თასი. მოდი და ეთამაშე, გააკვირვე და მოერიე.

საქმე იმაში კი არ არის, რომ ნიგერიამ სასწაული მოახდინა. საქმე იმაშია, რომ ადრე თუ გვიან, ნიგერია რაღაცას მოახდენს. თუნდაც ოლიმპიურ დონეზე, სადაც ღია და ლაღ ფეხბურთს მიხდევენ. ნიგერიის ნაკრების გამარჯვების საიდუმლო სწორედ ამაშია.

კი, არწივებს ოსტატები ჰყავთ, დიდოსტატებსაც კი დაუთვლი კაცი, მაგრამ ჯერჯერობით ესენი მაინც აფრიკელები არიან და ტაქტიკის ტრადიცია არ გააჩნიათ. ცალკე ყველა ნიგერიელი ოსტატია თავის გუნდებში, მაგრამ თერთმეტნი ერთად, მეტად გულუბრყვილონი ჩანან. ერთი კარგად დაწყობილი ევროპული კლუბი, ვისაც ოთხი უცხოელი მაინც ჰყავს, ამათ თამაშის და სილაღის საშუალებას არ მისცემს.

ნიგერიელს თუ სივრცე მიეცი, მორჩა. ეგენი ანტილოპებს ღლიან სირბილით და ისე იჭერენ. სხვაფრივ კი, არწივები დიდად საქებარნი არიან, რადგან აქვთ ყველაფერი, რაც კარგ ფეხბურთს სჭირდება.

ეს ამუნიკე კი ზამთრიდან ამოჩემებული მყავს.

ნიგერიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბაბაჯან კინგსენმა მას მძლე ლომარწივი უწოდა და შენ იძახე — ოფსაიდი, ოფსაიდიო. აღარ არის საქმე ოფსაიდში, ევრო-96-მაც ხომ დაადასტურა.

მთავარია ჯიგარი! მე კიდევ მეგონა, რომ ჩემი ძველი, მოხდენილი, ჯადოსნური არგენტინა ჩემპიონი გახდებოდა.

დანიელ, წადი სახლში და დაიძინე!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ატლანტა უკვე მოგონებაა

საქართველოს 36 სპორტსმენმა თავის ხელმძღვანელებიანად ამაყად შემოაბიჯა ატლანტის ოლიმპიურ სტადიონზე. შემოაბიჯა დიდი ოცნებებით, მიზნებითა და გეგმებით. მაშინ ალბათ ვერავინ იფიქრებდა, რომ ჩვენი ოლიმპიელების წარუმატებლობათა სერია შეჯიბრების პირველსავე დღეს დაიწყებოდა. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ბარსელონას ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ქუთაისელი ძიუდოისტი დავით ხახალეიშვილი აწონვაზე დაიგვიანებდა და ჩემპიონობისთვის მებრძოლთა რიგებს ასე უბრძოლველად გამოაკლდებოდა? ან, აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენი ამ 36 სპორტსმენიდან მხოლოდ ორნი გახდებოდნენ ოლიმპიური თამაშების პრიზიორები?




ჩვენმა სპორტსმენებმა ატლანტაში ცუდი სიურპრიზი შემოგვთავაზეს, როცა თავიანთი შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინეს. ძიუდოისტმა სოსო ლიპარტელიანმაც შემოგვთავაზა სიურპრიზი — სასიამოვნო სიურპრიზი, როცა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ამას თვითონ ლიპარტელიანიც ვერ იფიქრებდა, მაგრამ ატლანტის ტატამზე ისეთი თავგამოდებით იბრძოლა, რომ ყველა გააოცა.

სოხუმელ ლტოლვილ ელდარ კურტანიძეს ბედი მართლაც არ ჰქონია. საყოველთაო აზრით, იგი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ფინალური ბრძოლის ღირსი იყო, მაგრამ რაღაც ჭირად ვიღაც უცნობ კორეელთან დამარცხდა, ოქროს მედლისთვის მებრძოლთა რიგებს გამოაკლდა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. იმავე საღამოს, ისევე როგორც ლიპარტელიანის მედლის მოპოვებისას, ქართულ სახლში მხიარულებამ დაისადგურა. იყო მილოცვები, კეთილი სურვილები, სამახსოვრო სურათების გადაღება და სადღეგრძელოც.

და მაინც, იმ საღამოს ნაღველიც ახლდა — ნაღველი იმისა, რომ ელდარ კურტანიძის „ბრინჯაოს" მერე მედალს აღარავისგან ველოდით, და რომ ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სპორტსმენები ასე ცუდად არასოდეს გამოსულან.




ამერიკელი კალათბურთელები სხვებზე იმდენად მაღლა იდგნენ, რომ ნებისმიერ გუნდთან მათ გამარჯვებაში იოტისოდენა ეჭვიც არავის ეპარებოდა. საკითხავი იყო მხოლოდ ის, თუ რამდენქულიანი უპირატესობით გაიმარჯვებდნენ ისინი. თუმცა ამერიკელებს არცერთი შეხვედრის დიდი უპირატესობით მოგებაზე არ უფიქრიათ. ისინი ბრძოლის ნაცვლად უბრალოდ თამაშობდნენ და ასე თამაშ-თამაშით იგებდნენ. ასე იყო იუგოსლაველებთან ფინალურ შეხვედრაშიც, რასაც ამ სურათზე ხედავთ.



ვაჟ კალათბურთელთა ფინალური შეხვედრა იმითაც იყო ღირსახსოვარი, რომ შესვენებისას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა სამარანჩმა სახელგანთქმულ მოკრივეს, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს მუჰამედ ალის, წინათ რომ რინგზე ცეკვავდა, ახლა კი დაავადმყოფებულა, საგანგებო ოლიმპიური მედალი გადასცა, რასაც გაჟეჟილი ტრიბუნები მხურვალე ტაშით შეხვდნენ.







ატლანტაში მრავალი ქვეყნის გულშემატკივარი ჩამოვიდა. ისინი, ბუნებრივია, თავიანთ ქვეყნის სპორტსმენებს ქომაგობდნენ, სხვებს კი არ ერჩოდნენ. ამ მხრივ იაპონელთა ორგანიზებულობა და ეგზოტიკური ჩაცმულობაც თვალში საცემი იყო. ამერიკელი გულშემატკივრებიც მხურვალედ ქომაგობდნენ თავისიანებს. მეტოქეებს კი „ბუუუ"-ს ძახილით იკლებდნენ და ხშირად ობიექტურობის გრძნობას კარგავდნენ.




ოლიმპიურ პარკში ვიღაც ტერორისტის ჩადებული ბომბის აფეთქებას მოჰყვა ორი კაცის დაღუპვა, ასზე მეტის დაჭრა და რამდენიმე დღით ამ პარკის დაკეტვა, მიმდებარე ქუჩების გადაკეტვაც. იქაურობა პოლიციელებისა და სამხედროების დამატებითი რაზმებით აივსო. ერთხანს ქართული სახლის მიმდებარე ქუჩებიც ჩაიკეტა და იქაურობაც პოლიციელებით აივსო. მათი ნაწილი ცხენზეც ამხედრებულიყო.

ავთანდილ ბურასაშვილი
ავტორის ფოტოები
ატლანტა — თბილისი

# სარბიელი

# სპორტული ლატარეა

# "CROCO"

### საფრანგეთის ჩემპიონატი. 1 ტური

10 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიცა — ოსერი | 2,2 | 2,4 | 2,4 |
| ლილი — მეცი | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| ბორდო — ლე ავრი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| ბასტია — რენი | 1,4 | 2,9 | 4,2 |
| სტრასბური — პარი სენ-ჟერმენი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| კაენი — ლანსი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ნანსი — კანი | 1,7 | 2,8 | 2,9 |
| ნანტი — მონაკო | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| გინგამი — მონპელიე | 1,6 | 2,8 | 3,2 |

### რუსეთის ჩემპიონატი. 22-ე ტური

10 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| როსტსელმაში — ჟემჩუჟინა | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| ტექსტილშჩიკი — ლადა | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| ლოკომოტივი (ნიჟნი ნოვგოროდი) — ცსკა | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| კრილია სოვეტოვი — როტორი | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| სპარტაკი — ლოკომოტივი (მოსკოვი) | 1,5 | 3,0 | 3,4 |
| კამაზი — ჩერნომორეცი | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| დინამო — ბალტიკა | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| ურალმაში — ზენიტი | 1,6 | 3,0 | 3,0 |
| 11 აგვისტო | | | |
| ტორპედო — ალანია | 1,7 | 2,8 | 2,9 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. 1 ტური

10 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — სელტიკი | 2,2 | 2,4 | 2,4 |
| დანდი იუნაიტედი — მოზერველი | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| დანფერმლაინი — ჰართსი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ჰიბერნიანი — კილმარნოკი | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| რეინჯერსი — რეის როვერსი | 1,1 | 3,2 | 8,0 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე

# CROCO-2

### ტირაჟი №52

### საფრანგეთი და რუსეთი

1. ნიცა — ოსერი
2. ლილი — მეცი
3. ბორდო — ლე ავრი
4. ბასტია — რენი
5. როსტსელმაში — ჟემჩუჟინა
6. ტექსტილშჩიკი — ლადა
7. კრილია სოვეტოვი — როტორი
8. ურალმაში — ზენიტი

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება **JACK POT 1031, 25** ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# CROCO და სარბიელი წარმოგიდგენთ:

# შოტლანდიის PREMIER DIVISION

**1995-96 სეზონის საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | Rangers | 36 | 27 | 6 | 3 | 85-23 | 87 |
| 2 | Celtic | 36 | 24 | 11 | 1 | 74-25 | 83 |
| 3 | Aberdeen | 36 | 16 | 7 | 13 | 52-45 | 55 |
| 4 | Heart of Midlothian | 36 | 16 | 7 | 13 | 55-53 | 55 |
| 5 | Hibernian | 36 | 11 | 10 | 15 | 43-57 | 43 |
| 6 | Raith Rovers | 36 | 12 | 7 | 17 | 41-57 | 43 |
| 7 | Kilmarnock | 36 | 11 | 8 | 17 | 39-54 | 41 |
| 8 | Motherwell | 36 | 9 | 12 | 15 | 26-39 | 39 |
| 9 | Partick Thistle | 36 | 8 | 6 | 22 | 29-62 | 30 |
| 10 | Falkirk | 36 | 6 | 6 | 24 | 31-60 | 24 |

1996-97 სეზონი, ტრადიციულად, ოთხ წრედ ჩატარდება. ამჯერად გთავაზობთ თამაშების განრიგს ახალ წლამდე.

#### I ტური

10 აგვისტო

აბერდინი — სელტიკი □:□
დანდი იუნაიტედი — მოზერველი □:□
დანფერმლაინი — ჰართსი □:□
ჰიბერნიანი — კილმარნოკი □:□
რეინჯერსი — რეის როვერსი □:□

#### II ტური

17 აგვისტო

სელტიკი — რეის როვერსი □:□
დანდი იუნაიტედი — ჰიბერნიანი □:□
დანფერმლაინი — რეინჯერსი □:□
ჰართსი — კილმარნოკი □:□
მოზერველი — აბერდინი □:□

#### III ტური

24 აგვისტო

რეის როვერსი — მოზერველი □:□
რეინჯერსი — დანდი იუნაიტედი □:□
აბერდინი — ჰართსი □:□
ჰიბერნიანი — დანფერმლაინი □:□
კილმარნოკი — სელტიკი □:□

#### IV ტური

7 სექტემბერი

სელტიკი — ჰიბერნიანი □:□
ჰართსი — დანდი იუნაიტედი □:□
კილმარნოკი — დანფერმლაინი □:□
მოზერველი — რეინჯერსი □:□
რეის როვერსი — აბერდინი □:□

#### V ტური

14 სექტემბერი

რეინჯერსი — ჰართსი □:□
ჰიბერნიანი — რეის როვერსი □:□
დანფერმლაინი — მოზერველი □:□
დანდი იუნაიტედი — სელტიკი □:□
აბერდინი — კილმარნოკი □:□

#### VI ტური

21 სექტემბერი

სელტიკი — დანფერმლაინი □:□
რეის როვერსი — დანდი იუნაიტედი □:□
კილმარნოკი — რეინჯერსი □:□
აბერდინი — ჰიბერნიანი □:□
ჰართსი — მოზერველი □:□

#### VII ტური

28 სექტემბერი

დანდი იუნაიტედი — აბერდინი □:□
დანფერმლაინი — რეის როვერსი □:□
ჰიბერნიანი — ჰართსი □:□
მოზერველი — კილმარნოკი □:□
რეინჯერსი — სელტიკი □:□

#### VIII ტური

12 ოქტომბერი

აბერდინი — დანფერმლაინი □:□
სელტიკი — მოზერველი □:□
დანდი იუნაიტედი — კილმარნოკი □:□
ჰიბერნიანი — რეინჯერსი □:□
რეის როვერსი — ჰართსი □:□

#### IX ტური

19 ოქტომბერი

დანფერმლაინი — დანდი იუნაიტედი □:□
კილმარნოკი — რეის როვერსი □:□
მოზერველი — ჰიბერნიანი □:□
რეინჯერსი — აბერდინი □:□

20 ოქტომბერი

ჰართსი — სელტიკი □:□

#### X ტური

26 ოქტომბერი

დანდი იუნაიტედი — ჰართსი □:□
აბერდინი — რეის როვერსი □:□
რეინჯერსი — მოზერველი □:□
ჰიბერნიანი — სელტიკი □:□
დანფერმლაინი — კილმარნოკი □:□

#### XI ტური

2 ნოემბერი

სელტიკი — აბერდინი □:□
რეის როვერსი — რეინჯერსი □:□
ჰართსი — დანფერმლაინი □:□
კილმარნოკი — ჰიბერნიანი □:□
მოზერველი — დანდი იუნაიტედი □:□

#### XII ტური

14 ნოემბერი

სელტიკი — რეინჯერსი □:□

16 ნოემბერი

აბერდინი — დანდი იუნაიტედი □:□
ჰართსი — ჰიბერნიანი □:□
კილმარნოკი — მოზერველი □:□
რეის როვერსი — დანფერმლაინი □:□

#### XIII ტური

23 ნოემბერი

ჰიბერნიანი — აბერდინი □:□
დანდი იუნაიტედი — რეის როვერსი □:□
დანფერმლაინი — სელტიკი □:□
მოზერველი — ჰართსი □:□
რეინჯერსი — კილმარნოკი □:□

#### XIV ტური

30 ნოემბერი

სელტიკი — ჰართსი □:□
დანდი იუნაიტედი — დანფერმლაინი □:□
ჰიბერნიანი — მოზერველი □:□
რეის როვერსი — კილმარნოკი □:□

1 დეკემბერი

აბერდინი — რეინჯერსი □:□

7 დეკემბერი

დანფერმლაინი — აბერდინი □:□
ჰართსი — რეის როვერსი □:□
რეინჯერსი — ჰიბერნიანი □:□
კილმარნოკი — დანდი იუნაიტედი □:□
მოზერველი — სელტიკი □:□

#### XVI ტური

10 დეკემბერი

დანდი იუნაიტედი — რეინჯერსი □:□

11 დეკემბერი

სელტიკი — კილმარნოკი □:□
დანფერმლაინი — ჰიბერნიანი □:□
ჰართსი — აბერდინი □:□
მოზერველი — რეის როვერსი □:□

#### XVII ტური

14 დეკემბერი

აბერდინი — მოზერველი □:□
რეინჯერსი — დანფერმლაინი □:□
ჰიბერნიანი — დანდი იუნაიტედი □:□
კილმარნოკი — ჰართსი □:□
რეის როვერსი — სელტიკი □:□

#### XVIII ტური

21 დეკემბერი

სელტიკი — დანდი იუნაიტედი □:□
ჰართსი — რეინჯერსი □:□
კილმარნოკი — აბერდინი □:□
მოზერველი — დანფერმლაინი □:□
რეის როვერსი — ჰიბერნიანი □:□

#### XIX ტური

26 დეკემბერი

აბერდინი — სელტიკი □:□
დანდი იუნაიტედი — მოზერველი □:□
დანფერმლაინი — ჰართსი □:□
ჰიბერნიანი — კილმარნოკი □:□
რეინჯერსი — რეის როვერსი □:□

#### XX ტური

28 დეკემბერი

რეის როვერსი — დანდი იუნაიტედი □:□
აბერდინი — ჰიბერნიანი □:□
სელტიკი — დანფერმლაინი □:□
ჰართსი — მოზერველი □:□
კილმარნოკი — რეინჯერსი □:□

# PLAYBOY

# ქალთან პირველად 17 წლისა ვიყავი

პოპულარული ამერიკული ჟურნალი „ფლეიბოი“ მრავლის წარმოდგენაში ის გამოცემაა, სადაც მხოლოდ შიშველი ქალები და აღვირახსნილი პორნოგრაფია იბეჭდება. მაგრამ ამ დროს არც მთლად აგრეა საქმე. „ფლეიბოი“ დიდ ყურადღებას უთმობს გამოჩენილი ხალხის ცხოვრებას. იგი ცდილობს საზოგადოებას ახალი კუთხით წარუდგინოს ესა თუ ის ადამიანი, ბოლომდე გახსნას მისი პიროვნება. ამ ბოლო დროს „ფლეიბოი“ მსოფლიოს სპორტის ვარსკვლავებითაც დაინტერესდა. ამერიკული გამოცემის აგვისტოს ნომერში კალათბურთის სუპერვარსკვლავ შაკილ ონილთან ინტერვიუა დაბეჭდილი. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება შაკილის საუბრის გამოქვეყნება, რადგან როგორია იგი მოედანზე — თითქმის ყველამ იცის, ხოლო რა კაცია ცხოვრებაში — თითქმის არავინ. ეგაა, ინტერვიუ ძალიან დიდია, ამიტომაც მას ნაწილ-ნაწილ შემოგთავაზებთ.



შაკილ ონილი ზეცამდე ამაღლდა. ასე მოეჩვენათ გულშემატკივრებს, როცა იგი ორლანდოს ერთ-ერთი ღამის კლუბის განსაკუთრებით საპატიო პირთა შესასვლელთან იხილეს. ვარაუდობდნენ, რომ აქ გაიმართებოდა პატარა, ოჯახური წვეულება. მაგრამ რადიოს ორი სიტყვა წამოსცდა და ნახევარი ქალაქი ქუჩაში გამოეფინა. დაახლოებით ნახევარ მილზე გაჭიმული ათასობით გულშემატკივარი სამ საათს მოთმინებით იცდიდა. როცა ხასხასა მწვანე კოსტუმში გამოწყობილი შაკილი მანქანით მოგრიალდა, ბრბომ იხუვლა და ღამის კლუბის მინები ჩალეწა.

მიზეზი: ონილის 24-ე დაბადების დღე.

ფენომენი: შაკმანია, რომელსაც კალათბურთელი თვით „რიგით“ დღეებშიაც ვერ გაურბის. ნბა-ს ბოლო სეზონი ყველაზე შთამბეჭდავი იყო შაკის კარიერაში. „ორლანდო მეჯიქის“ ცენტრმა მეოთხე ოლ-სტარი ითამაშა. მისი წლიური შემოსავალი 17 მილიონი დოლარი იყო, ამას ემატებოდა მრავალმილიონიანი კონტრაქტი. ამით იგი ჩამორჩა მხოლოდ მაიკლ ჯორდანის და მაიკ ტაისონს. ამ თვეში ონილი ოლიმპიელიც გახდა — ატლანტაში ამერიკის ნაკრებში ითამაშა. შაკის დიდება იმხელაა, რომ „მეჯიქი“ მის მოგზაურობებს დიდ თანხად აზღვევს.

1991-92 წლების სეზონში, ერთი წლით ადრე, ვიდრე ონილი ნბა-ში მოვიდოდა, ოთის თორფმა მეტი ბურთი ჩატენა — 162. ახალბედა შაკმა დაახლოებით გააორმაგა ეს შედეგი. 1993-94 წლების სეზონში მან დაუჯერებელ ზღვარს მიაღწია — 387 ჩატენვა. „დიდების დარბაზის“ კავალერმა ბილ უოლტონმა შაკილს „უილტ ჩემბერლენის და მეჯიქ ჯონსონის ნაზავი“ უწოდა. ამით უოლტონმა ხაზი გაუსვა კალათბურთელის წარმოუდგენელ ძალას და უსაზღვრო მომხიბლაობას.

შაკილ რაშონ ონილი (მისი ეს სახელები ყურანიდანაა აღებული და „პატარა მეომარს“ ნიშნავს) დაიბადა ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ნიუარკში 1972 წლის 6 მარტს. მამამისი მალე უგზოუკვლოდ დაიკარგა. მისი მამინაცვალი ამერიკის არმიის სერჟანტი იყო. ონილი ექვსი წლისა იყო, როცა მამინაცვალი დასავლეთ გერმანიაში გადავიდა სამსახურის გასაგრძელებლად და გერიც თან წაიყვანა.

ერთხელაც ამერიკელი მწვრთნელი დეილ ბრაუნი გერმანიაში კალათბურთის სემინარების ჩასატარებლად ჩავიდა. იგი შაკილს გადაეყარა და ჰკითხა: „ჯარისკაცო, რამდენია შენი სიმაღლე?“ ონილმა მიუგო: „ბატონო, მე ჯარისკაცი არა ვარ. მხოლოდ 13 წლის გახლავართ“.

მოგვიანებით შაკილის მამინაცვალი ამერიკაში, ტეხასში გადაიყვანეს სამუშაოდ. კალათბურთელი სან-ანტონიოს ქოულის სკოლაში ჩაირიცხა და თანატოლებში შტატის პირველობაზე მოიგო. დეილ ბრაუნმა ხელიდან აღარ გაუშვა შაკილი და თავისთან, ლუიზიანას სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიყვანა. პირველ წელს იგი საშუალოდ 13,9 ქულას აგროვებდა, მომდევნო წელს კი 24,1 ქულას ახერხებდა. მეტოქეები დიდ გამოცდას უწყობდნენ შაკილს: როცა ბურთს მიიღებდა, სამი-ოთხი კაცი ეგრევე მიესეოდა ხოლმე. ამით ონილმა ნბა-სთვის აუცილებელი საბრძოლო ჩვევები გამოიმუშავა.

უნივერსიტეტის სამი კურსის დასრულების შემდეგ კალათბურთელმა სწავლა მიატოვა და ნბა-ში წავიდა. 1992 წლის დრაფტის პირველი ნომერი დაჩაჩანაკებული „ორლანდო მეჯიქის“ გადამრჩენი უნდა გამხდარიყო. „პეპსიმ“ და „რიბოკმა“ 30 მილიონი დოლარი ჩაუჯიბეს შაკილს. თანაც მანამდე, სანამ კალათბურთელი თავის პირველ ოფიციალურ მატჩს გამართავდა ნბა-ში. პირველსავე მატჩში ონილმა ისე მძლავრად ჩატენა, რომ ფარი გატეხა. მაგრამ მთავარი ეს როდი იყო. იმ სეზონში „ორლანდომ“ გააუმჯობესა წინა წლის შედეგი — 21 მოგება და 61 წაგება 41 მოგება-წაგებამდე აიყვანა. შაკილი წლის საუკეთესო ახალბედად დაასახელეს და კინოფილმ „ბლუ ჩიფსში“ პატარა როლშიც ათამაშეს. ამან მისი პოპულარობა გაცილებით გაზარდა.

1993-94 წლებში, ონილის მეორე პროფესიულ სეზონში, იგი საშუალოდ 29,3 ქულას აგროვებდა, რითაც მხოლოდ სანანტონიოელ დევიდ რობინსონს ჩამორჩებოდა. „ორლანდო“ პირველად გავიდა ფლეი-ოფში. მომდევნო წელსაც 29,3 ქულას აგროვებდა საშუალოდ, ოღონდ უკვე ლიგის ბომბარდირი გახდა. მოხსნებში მისი საშუალო მაჩვენებელი 11,4 იყო — ლიგაში მესამე. იგი წარუძღვა „ორლანდოს“ ნბა-ს ფინალში, სადაც „მეჯიქი“ დამარცხდა ჰაკიმ ოლაჯუონთან და მის „ჰიუსტონ როკიტსთან“. ამ ფინალის შემდეგ ჰაკიმმა შაკილს „ნბა-ს მომავალი“ უწოდა.

თამაშის ხარისხთან ერთად იზრდებოდა ონილის დიდებაც. მიუხედავად უდიდესი ხალასი ნიჭისა, კალათბურთელი არ თაკილობს მძიმე შრომას. წინა ზაფხულს ფიზიკურად მოემზადა მწვრთნელ ბილი ბლანქსის მეთვალყურეობით და ისე გაძლიერდა, როგორც არასდროს. ამით მისი სროლები, ჩატენვები, დრიბლინგები და დაფარებები გაცილებით მძლავრი გახდა. იგია მსოფლიოს სპორტის უდიდესი კოლოსი, მაგრამ, დიდი უილტ ჩემბერლენისა არ იყოს, უმარტივეს საქმეს ვერ აკეთებს: საჯარიმოებს ვერ აგდებს.

ჩვენ გავაგზავნეთ თანამშრომელი შაკილის სანახავად. შეხვედრა ორლანდოს გარეუბანში, დისნეილენდის გზაზე, ონილის სახლში უნდა შემდგარიყო. აი, რა გადმოგვცა ჩვენმა თანამშრომელმა:

„შაკის სახლ-კარი 22 ათას კვადრატულ ფუტზეა გადაჭიმული. აქ არის ყველაფერი — კომპიუტერული თამაშობებით დაწყებული, ნატურალური ზომის ურჩხულების ფიტულებით დამთავრებული. ონილის მუსიკალური სტუდია ამჟამად რემონტდება. გარდა ამისა, შაკი არის კაცი, რომელსაც აცვია 22 EEE ფეხსაცმელი და 52 ზომა მაისური (ანუ XXXXL). მას ჰყავს ოთხი ძაღლი: თორი, შეზემი, პრინსი და დაი-ჰარდი.

შაკილის ოთახის კედლები სხვადასხვა სახელოვანი სპორტსმენთა მაისურებითაა მოფენილი, ორს საპატიო ადგილი უჭირავს. ორივე მაისური 32-ნომრიანია (სხვათა შორის, ეს შაკის ნომერიცაა). ერთი მათგანი, „ლეიკერზის“ მეჯიქ ჯონსონს ეკუთვნის. მან წააუწერა შაკს: „ყველაზე მრავალმხრივ დიდ კაცს“. მეორე 32-ნომრიანი მაისური კი ო'ჯეი სიმფსონის საჩუქარია, წარწერით „მშვიდობა“.

— მე არაფერი მაშინებს, მოძრავი კაცი ვარ. დიდი სიღრმეზე ყვინთვა, პარაშუტით ხტომა, მოტოციკლით ჯირითი — ეს ჩემი სტიქიაა. ახალი მოტოციკლეტი ვიყიდე სპეცგამოშვება, ნაღდი ჰარლი-დევიდსონი.

**— თქვენს კონტრაქტში არაფერი წერია ამ სახიფათო გასართობების შესახებ?**

— წერია. მე არ შემიძლია პარაშუტით ხტომა, მოტოციკლით რბოლა და ასეთი რამეები. მაგრამ მე მიყვარს სისწრაფე. ჰავაიზე მოპედიდან გადმოვარდი და ფეხი გადავიტყავე. ჩემი ჰარლი-დევიდსონი მსოფლიოში ყველა მოპედზე გაცილებით სწრაფი იქნება. მაგრამ მასზე არაფერი მომივა.

**— ესე იგი, თქვენ არღვევთ „მეჯიქთან“ დადებულ 41-მილიონიან კონტრაქტს? თუკი ამ დროს დაშავდებით, ისინი ხომ არ გადაგიხდიან მკურნალობის ფულს?**

— მათ შეუძლიათ ამის გაკეთება. მე კი მაინც გადმოვხტები პარაშუტით.

**— სხვა რომელ ეგზოტიკურ გასართობებს ეტანებით?**

— ნავიდან წყალში ხტომას. წარმოიდგინეთ, ნავი გისვრის საათში 100 მილის სიჩქარით და ასეულობით ფუტის სიმაღლეზე ჰაერში ადიხარ. შემდეგ ძირს ეშვები, წყალში ვარდები. ამ დროს შეიძლება ფეხი მოიტეხო. ყოველთვის ვფიქრობ, ყველაზე საშინელი რა შეიძლება მოხდეს. რა და, თუკი წყალში ცუდად ჩაეშვები. ამდენად, ბოლო წამს ყურადღებით ვარ, წყალში ფეხის წვერებით ჩავდივარ.

**— და ამის გამო შეიძლება 41 მილიონი დაკარგოთ...**

— ამაზე არ ვღელავ.

**— ამ წლის ოლ-სტარში თქვენ აჯობეთ მაიკლ ჯორდანს, მაგრამ მატჩის უძვირფასეს მოთამაშედ მაინც იგი აღიარეს.**

— სანანტონიოს ოლ-სტარის წინ მეგონა, რომ დევიდ რობინსონი ზღაპრულად ითამაშებდა და უძვირფასესი გახდებოდა, მაგრამ მან მძიმედ დაიწყო. არც არავინ აპირებდა თავის გამოჩენას. გადავწყვიტე, ეს მე გამეკეთებინა. სამი უძნელესი ბურთი ჩავაგდე. შემდეგ ულამაზესად ჩავტენე. ვფიქრობდი, საუკეთესოდ დამასახელებდნენ, მაგრამ შემდეგ პოლიტიკა ჩაერია საქმეში. მე და ჯორდანი მეგობრები ვართ. თამაშის მერე მაიკლი ჩემთან მოვიდა, ხელში უძვირფასესი მოთამაშის პრიზი ეჭირა და მითხრა: „აიღე პრიზი, შენ იგი დაიმსახურე“. მე უარი ვუთხარი. არ მინდა ასეთი უძვირფასესობა, მინდა ეს პრიზი წესით და კანონით მოვიპოვო.

**— კი მაგრამ, რატომ დაგჩაგრეს ასე?**

— შეიძლება გაბარიტების გამო. ხალხი ფიქრობს, რომ დიდი ტანის მოთამაშეებს ყველაფერი უადვილდებათ. მაგრამ იმ დღეს მე ვულოცავდი ჯორდანს, კაცს, რომელიც მანცვიფრებს. რამდენიმე მოთამაშემ შეიძლება გაგაკვირვოს — მეჯიქმა, ჩარლზმა, მაგრამ ჯორდანი თავისი სისწრაფით გაფიქრებინებს, რომ შენ მისნაირად სიზმარშიც კი ვერ ითამაშებ. როცა ჩიკაგოში პირველად ვითამაშე, მაშინ შევხვდი მოედანზე პირველად მაიკლს. მან ჩემს ნასროლს დააფარა. სერიოზულად ვფიქრობ, რომ ჯორდანი მაშინ გაფრინდა.

**— ამ სეზონში კიდევ ერთი კურიოზი შეგემთხვათ. ვილაცამ შორტი ჩაგხადათ. ვერცერთმა კამერამ ეს მომენტი ვერ დააფიქსირა და არც თქვენ გითქვამთ ჟურნალისტებისთვის, ვინ გაგიკეთა ეს...**

— ეს ჯორდანმა გააკეთა. მივდიოდი, იგი კი შორტში ჩამაფრინდა.

**— ნბა-ს ერთ-ერთმა მწვრთნელმა თქვენ „მწვილებელი“ გიწოდათ, თითქოს თქვენსავით არავინ ჩაგრავს მეტოქეებს.**

— ამის გაგონებაც არ მინდა. ახლა ისე ძლიერი ვარ, როგორც არასდროს. ეს ჩემი სტილია, ფიზიკურად სხვას ვაჯობო. წინასწარ გაფრთხილებები არ მიყვარს, მაგრამ ერთ საღამოსაც მართლა გავგიჟდები და ხალხის მტერევას დავიწყებ.

**— წლეულსვე?**

— თუკი წინასწარ გეტყვით, საინტერესო აღარ იქნება. ხომ ასეა?

**— კარგით. თქვენი ახალი ფილმის შესახებ მოგვითხრეთ.**

— ახლა ვიღებ ფილმს. მე ვთამაშობ ნახევრად ადამიანს, ნახევრად — ჯადოქარს. ისეთ ვინმეს, წინასწარ რომ არ იცი, რას გააკეთებს. მინდოდა საბავშვო ფილმში მეთამაშა, რადგან ჩემი აუდიტორია 4-დან 14 წლამდეა და მეც ჯერ კიდევ ბავშვად ვგრძნობ თავს. ყოველთვის ვამბობ, რომ შინაგანად ჩემს ასაკზე ათი წლით უმცროსი ვარ. ესე იგი, 14 წლისა ახლახან გავხდი.

**— რას ფიქრობთ კრიტიკოსებზე. ღელავთ, როგორც მსახიობი?**

— ეს ჩემი პირველი დიდი როლია, ამიტომ უკლებლივ ყველას ვთხოვე — თუკი რამე ისე არ იქნება, პირდაპირ მითხარით.

**— რამდენჯერ გაქვთ ნანახი თქვენი პირველი ფილმი „ბლუ ჩიფსი“?**

— მილიონჯერ. ვჯდები სახლში და იქამდე ვატრიალებ კასეტას, სანამ ფირი არ გაცვდება.

**— რას ფიქრობთ ნბა-ს მარკეტინგზე?**

— იგი ბრწყინვალედ მუშაობს. მე რომ ბავშვი ვიყო, კედელზე მექნებოდა გაკრული ნბა-ს ვარსკვლავების — ჯორდანის, ბარკლის, ონილის პლაკატები. ტელეკომუნიკაციები ამჟამად ისე მძლავრია, რომ ჩვენ მთელი მსოფლიო გვიცნობს. ერთ ზაფხულს საბერძნეთის ერთ-ერთ კლინიკაში მივედი ავადმყოფებთან შესახვედრად. 2 ათას კაცს ველოდი, მაგრამ მოვიდა 34 ათასი. როცა ბურთი ჩავტენე, ხალხი გადაირია. შემდეგ კი გაქცევა და გასახდელში ჩაკეტვა მომიხდა. რომ იცოდეთ, ჩემი გაბარიტები და სახელიც მეხმარება.

„შაკი“ იმისთანა სიტყვაა, ორი წლის ბავშვიც იოლად რომ გამოთქვამს. ვფიქრობ, მომდევნო დიდი სახელი ნბა-ში ჯეისონ კიდი იქნება.

**— ძველ სახელებზეც ვთქვათ. ვხედავთ, თქვენს კედელზე არ არის ბილ ლემბირის პლაკატი...**

— ეგ იყო „ძირს დამცემი კაცი“. წინ ელობებოდა ბურთიან კაცს, ეცემოდა და მსაჯებისგან ჯარიმას ითხოვდა. რას იზამ, ვინც თამაში არ იცის, უნდა დაეცეს. ლემბირი ასეთებში ყველაზე უარესი იყო.

**— მაგრამ მას საჯარიმოებზე სროლა უყვარდა, თქვენ კი ეს არ გამოგდით. წელს თქვენ ნასროლ საჯარიმოთა ნახევარი ჩააგდეთ. რატომ?**

— კონცენტრაციას ვერ ვახერხებ. საჯარიმოებზე [illegible] ვვარჯიშობ, [illegible] თითქმის ყველას [illegible] თამაშზე ვაცილებ — მომიწევს უფრო საფუძვლიანი კონცენტრაცია.

**— რიკ ბერი, საჯარიმოების ერთ-ერთი საუკეთესო ჩამგდები, ბურთს ქვემოდან ისროდა. მას მიაჩნია, რომ თქვენც იგივე უნდა გაკეთოთ.**

— ეს საშინელი აზრია. მე არასდროს ვესვრი საჯარიმოს ქვემოდან.

**— ეს ცუდი სანახავია, მაგრამ აეროდინამიკურად ყველაზე სრულყოფილი ხერხია.**

— ვერ დაგეთანხმებით.

**— ახლა კი ჩატენვის თეორიასა და პრაქტიკაზე...**

— ეს არის ბურთის ჩაგდების საუკეთესო გზა. ხანდახან ისე მძლავრად ვტენი, რომ ხელები მტკივა. ხანდახან, როცა ვინმე მაფარებს, ვფიქრობ, მოდი, ბოლომდე მივაწვები და ვნახავთ, მის თითებს ფარზე თუ შემოვამტვრევ-მეთქი.

**— ამ სეზონში კარიერაში პირველი სამქულიანი ჩააგდეთ.**

— კარგი იყო. სახლში მაქვს ნბა-ს ვიდეო-თამაში. იქ შეიძლება ამოირჩიო, ვინ ხარ — შაკილი თუ სკოტ სკაილზი. მე ყოველთვის სკაილზსს ვირჩევ, რადგან იგი სამქულიანებს კარგად აგდებს ხოლმე. ხედავთ, ვიდეო-ვარჯიში თამაშის დროს გამომადგა.

**— რა იფიქრეთ, როცა მეჯიქ ჯონსონი „ლეიკერზში“ დაბრუნდა? გეშინოდათ, რომ შიდსი გადაგედებოდათ?**

— მეშინოდა. მაგრამ როცა მეჯიქი დაბრუნდა, ნბა-მ ექიმები დაგზავნა ყველა გუნდში. აგვიხსნეს, როგორ შეიძლება შიდსის შეყრა, გაგვაფრთხილეს, რომ ყურადღებით ვყოფილიყავით. სხვა მხრივ არ მეშინია. უსაფრთხო სექსის მიმდევარი ვარ.

**— ყოველთვის?**

— დიახ.

**— 213-სანტიმეტრიანი კაცისთვის განსაკუთრებული სექსი არსებობს?**

— არა. ქალებს უყვართ დიდი კაცები. ჩვენ შეგვიძლია მათი დაცვა.

**— ქალებთან ყოველთვის მიმნდობი იყავით?**

— არა. ქალთან პირველად გვიან ვიყავი. მაშინ უკვე კოლეჯში ვსწავლობდი და 17 წლის ვიყავი. ერთ ღამეს ბიჭებთან ერთად ქუჩაში გოგო გავიცანი. ის ჩემზე უფროსი იყო. ბატონ-რუჟში სახლი ჰქონდა. შემდეგ კი ყველაფერი მოხდა და ო-კეი იყო. ოღონდ, მხოლოდ ო-კეი.

**— გითქვამთ, რომ ზოგჯერ ქალები თავს გარიდებენ.**

— ზოგიერთს ჩემი ზომების ეშინია. ამას მათ თვალებში ვამჩნევ. მაგრამ მათი შიში უსაფუძვლოა — მე არ ვიკბინები.

**— შეგიძლიათ გვირჩიოთ, თუ როგორ მოვექცეთ ქალებს?**

— იყავით ნაზები მათ მიმართ. ნუ გალიზიანდებით იმის გამო, რომ ქალი გონიერია. მიეცით მათ ის, რაც თქვენგან სურთ.

**— მოგვიყევით იმ ორ შიშველ ქალზე, სასტუმროს ნომერში რომ შემოგივარდნენ.**

— ეს კარგი ჭორია, ოღონდ სინამდვილეში არ მომხდარა. ქალები ხშირად მთხოვენ, ავტოგრაფი წავუწერო ნიფხვებზე. ერთხელ ერთი ქალი სახლში შემომეპარა, მოვიდა ჩემს საძინებელ ოთახში და მძინარეს ლოგინში შემომიძვრა. გაღვიძებულმა მისი მოშორება გადავწყვიტე, მაგრამ ქალი კისერზე მეკიდა და — ო, რა დიდებული ხარო — მეუბნებოდა. საბოლოოდ, პოლიცია მოვიდა.

**— კი მაგრამ, თქვენი მოსაწონი ქალი როგორიღაა?**

— არ მიყვარს, როცა ქალი თავად მოდის ჩემთან. არჩევნის გაკეთება მე თავად მიყვარს. ქალს იუმორის გრძნობაც უნდა ჰქონდეს. ერთხელ მშვენიერი გოგონა გავიცანი, მაგრამ იუმორი რა იყო, საერთოდ წარმოდგენა არ ჰქონდა. სასწრაფოდ გავეცალე.

**— თქვენს დაბადების დღეზე ქალები გიყურებდნენ და ამბობდნენ... ცხადია, რასაც ამბობდნენ. თქვენი რეაქცია?**

— ეს კარგია, მაგრამ მე აქეთ-იქით არ ვიყურები. ხუთი წლის მანძილზე მხოლოდ ერთი საყვარელი მყავს.

**— თქვენ ძალიან გასაიდუმლებული გაქვთ მისი პიროვნება — ქალისა, რომელსაც „ჩემს ცოლს“ეძახით.**

— დიახ. შესაძლოა, ჩვენ საიდუმლოდ დაქორწინებულნიც ვართ. იგი ტეხასში კოლეჯში სწავლობდა. ახლა უკვე დაამთავრა.

**— რა გამოდის, ერთ ქალს შესჩერებიხართ?**

— მე მორწმუნე ვარ. ხომ გაგიგონიათ: „იყავი პატიოსანი და მეც ასეთი ვიქნები“.

გაგრძელება იქნება

# რაგბი

**ამაღამ,** ქეიფთაუნის „ნიულენდსზე" პირველი სამეულის სერიალის ბოლო მატჩია: ვადამდე გაჩემპიონებული ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსი" სტუმრობს მსოფლიოს ჩემპიონს — სამხრეთ აფრიკის „ქურციკებს", რომლებიც არა მარტო პრესტიჟისთვის ითამაშებენ, არამედ მოგებას იმიტომაც ეცდებიან, რომ მომდევნო სამ შაბათს — 17, 24 და 31 აგვისტოს გასამართი ტესტ-სერიის წინ ფსიქოლოგიური უპირატესობა ჰქონდეთ.

აფრიკაში ტესტ-სერიის მოგება უძნელესი ამოცანაა. XX საუკუნეში ეს ოდენ 1980 წლის „ბრიტანელმა ლომებმა" მოახერხეს, ზელანდიელები კი ამ მისიით იქ უკანასკნელად 1986 წელს იყვნენ, ოღონდაც არა-ლეგალურად — „ოლ ბლექსი" ეურჩა თავისს რაგბის კავშირს, „მხედრები" დაირქვა და რასიზმის ციტადელში მალვით ჩავიდა, მაგრამ 1-3 დამარცხდა. ქეიფთაუნის ტესტი მაშინ ფრედ მთავრდებოდა, მაგრამ თამაშის ბოლოს კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა, „ქურციკებმა" კი გადამწყვეტი ლელო გაიტანეს. მაშინდელი შემადგენლობებიდან ახლანდელ გუნდებში ალარავინ შემორჩენილა.

დღეს კვლავ საეჭოა ზელანდიელთა ზორბა გარემარბის — ჯონა ლომუს თამაში. მას მუხლი ძლიერ აწუხებს. აფრიკელებსაც გამოაკლო ტრავმებმა სამი მოთამაშე — ბურჯი სვართი, მეორეხაზელი აკერმანი და შუამარბი ფენტერი. ლომუს სავარაუდო შემცვლელი ყოფილი 15 ნომერი გლენ ოზბორნია, აფრიკელებმა კი თხუთმეტეულში ალადგინეს პურტერი, აფერთონი და ლერუ, ვისაც ფიჯელებთან მატჩში ნალრძობი კისერი მოურჩა.

ზელანდიელთა მეორე შემადგენლობამ სამშაბათს ტურნეს პირველი მატჩი გამართა ბოლანდთან, გარეშე მოთამაშეებით რომ იყო გაძლიერებული. ქვეყნის რაგბის კავშირის მითითებით თამაში ამ პროვინციის ბინის — ველინგთონის ნაცვლად გაიმართა ვუსტერში და 25 ათასი ქომაგიც მიიზიდა, მაგრამ მედიის მუშაკები კი განწვალდნენ — მავთულხლართებით შემოლობილ ადგილას დასვეს, საიდანაც არაფერი ჩანდა.

„ოლ ბლექსმა" 32 (24) (4ლ, 3გ, 2ს) : 21 (0) (3ლ, 3გ) გაიმარჯვა. მისი ლელოები ფლანგმა ბლაუერსმა, მეორეხაზელმა ლარსენმა, შუამარბმა მაკლეოდმა და 9 ნომერმა ტონუუმ გაიტანეს, დამრტყმელი კი 10 ნომერი ქელეინი იყო.

საქართველოს XXIX პირველობა

თვის ბოლოსლა განახლდება. მანამდე ქვეყნის კაცთა ნაკრები რუმინეთს ეწვევა და შემოდგომაზე ჩეხეთთან და რუსეთთან სათამაშოდ მოემზადება.

პირველი ეტაპის დარჩენილი მატჩები

XII ტური

| | | |
|---|---|---|
| ოთხ | 27. VIII | ლელო — გელათი |
| ხუთ | 28. VIII | აზოტი — ყოჩები |
| | | აია — გუმარი |
| | | ქორები — დინამო |

XIII ტური

| | | |
|---|---|---|
| კვი | 1. IX | გელათი — აია |
| | | დინამო — ლელო |
| | | ქორები — აზოტი |
| ორ | 2. IX | გუმარი — ყოჩები |

გამოტოვებული თამაში

| | | |
|---|---|---|
| სამ | 3. IX | ქორები — აია |

XIV ტური

| | | |
|---|---|---|
| ხუთ | 5. IX | აზოტი — გუმარი |
| | | ყოჩები — გელათი |
| პარ | 6. IX | აია — დინამო |
| | | ლელო — ქორები |

მერე მოწინავე ექვსეული 11 სექტემბრიდან 9 ნოემბრამდე ორ წრედ გამოავლენს ფინალურ ოთხეულს.

„ა" ჯგუფის ორი მაჩანჩალისა და „ბ" ჯგუფის ოთხი გუნდის შეჯიბრი გაიმართება 13 სექტემბრიდან 14 ნოემბრამდე.

## სადღეისო ვითარება

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 11 | 10 | 0 | 1 | 312: 79 | 43- 5 | 20 |
| გუმარი | 11 | 10 | 0 | 1 | 369: 86 | 53- 6 | 20 |
| აია | 9 | 6 | 0 | 3 | 290: 53 | 35- 7 | 12 |
| გელათი | 11 | 5 | 1 | 5 | 136:215 | 11-29 | 11 |
| ქორები | 10 | 5 | 0 | 5 | 186:121 | 20- 8 | 10 |
| აზოტი | 10 | 4 | 1 | 5 | 111:152 | 13-20 | 8 |
| ლელო | 11 | 1 | 0 | 10 | 111:343 | 12-50 | 2 |
| დინამო | 11 | 0 | 0 | 11 | 65:479 | 7-69 | 0 |

ყოჩები გუმარს პირადი მოგების წყალობით უსწრებენ

# ავტორბოლა

## წარსული

უნგრეთის „დიდი პრიზი" პირველად 1986 წლის 10 აგვისტოს ჩატარდა და ორი ბრაზილიელის — აირტონ სენას (ლოტუსი) და ნელსონ პიკეს (უილიამსი) დაძაბული პაექრობით აღინიშნა. გამოცდილმა პიკემ 57-ე წრეზე შეძლო სენას ჩამოტოვება და უნგრეთის „დიდი პრიზის" პირველი მფლობელი გახდა, მომდევნო წელს კი კვლავ გაიმეორა ეს წარმატება.

ყველაზე მეტი — სამი გამარჯვება ამ ტრასაზე ბრაზილიელ „ჯადოქარ" სენასა აქვს მოპოვებული — 1988, 1991 და 1992 წლებში (მაკლარენ-ჰონდა). საერთოდაც, ბრაზილიელებს აქ გამართული ათი „დიდი პრიზიდან" ხუთი აქვს მოპოვებული. გუნდებს შორის აშკარა ფავორიტი „უილიამსია" — 5 გამარჯვება.

ეტყობა, წელს მსოფლიო პირველობის უნგრული ეტაპი უკანასკნელად იმართება. გაისად მას ალბათ ავსტრიის „დიდი პრიზი" შეცვლის.

## ტრასა

„ჰუნგარორინგის" ტრასა საკმაოდ ნელი და გასწრებისთვის მოუხერხებელია. ქარს მეზობელი გორაკებიდან ტრასაზე ქვიშა მოაქვს, რაც ტრასას სახიფათოს ხდის.

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**ფორმულა 1**

**XII ეტაპი**
**უნგრეთის გრან-პრი**

„ჰუნგარო-რინგი". 11 აგვისტო

ტრასის სიგრძე — 3 968 მ

რბოლის დისტანცია: 77 წრე — 305, 356 კმ

საუკეთესო დრო კვალიფიკაციაში: პროსტი (უილიამს-რენო, 1993) 1.14,631 (191,406 კმ-სთ)

საუკეთესო დრო წრეზე (რბოლისას): მენსელი (უილიამს-რენო, 1992) 1.18,308 (182,412 კმ-სთ)

გამარჯვებულის საუკეთესო დრო: სენა (მაკლარენ-ჰონდა, 1992) 1:46.19,216 (172,424 კმ-სთ)

**შარშანდელი შედეგები:**

კვალიფიკაცია: ჰილი (უილიამს-რენო) 1.16,982

საუკეთესო წრე: ჰილი 1.20,247 (175,711 კმ-სთ)

გამარჯვებული: ჰილი 1.46.25,721 (172, 148 კმ-სთ)

ჯვენა მოსახვევში მეოთხის ჩართვა, მისით მარცხენა მოსახვევის გალევა და მეხუთეზე გადასვლა.

ასე შედიან მარჯვენა მოსახვევში და ამუხრუჭებენ მესამემდე, აჩქარდებიან მეხუთე სიჩქარემდე, ამუხრუჭებენ მეორე გადაცემამდე; შემდეგ აჩქარდებიან მესამემდე, რომლითაც გაივლიან სტარტის სწორზე გამავალ მარჯვენა მოსახვევს და აჩქარდებიან, სანამ მაქსიმალურ სიჩქარეს არ მიაღწევენ.

სტარტის მონაკვეთი ერთადერთი ადგილია, სადაც თავისუფლად შეიძლება გასწრება. ამის გამო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბოლო მოსახვევის სწორად გავლას და სწორზე ძრავის სიმძლავრის მარაგით შესვლას, რათა სწრაფად აჩქარდე და მეტოქე ჩამოიტოვო.

„ჰონგარიორინგზე" ავტოებს ასე არეგულირებენ: წინა და უკანა „ფრთებს" მაღალი კუთხით აყენებენ (ზოგმა შეიძლება დამატებითი შუა „ფრთაც" გამოიყენოს) — ეს თვლების ტრასასთან შეჭიდულობას ზრდის, რასაც ამ მოსახვევმრავალ ტრასაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

გადაცემათა კოლოფი მოკლე დიაპაზონებზე რეგულირდება — ეს ხელს უწყობს მოსახვევიდან გამოსვლისას სწრაფ აჩქარებას, თუმცაკი მაქსიმალური სიჩქარე ეცემა.

# უკანასკნელი მადიარული მასკარადი

ამის გამოა, პილოტებს ეს ტრასა მაინც და მაინც რომ არ უყვართ. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება „პოულს" და სტარტის საუკეთესოდ ალებას.

პილოტები ტრასას ასე გადიან:

სტარტის შემდეგ მეხუთე სიჩქარემდე აჩქარდებიან, მაქსიმუმს — 280 კმ-სთ აღწევენ, პირველი მარჯვენა მოსახვევის (ამ ტრასის მოსახვევები უსახელოა!) წინ ამუხრუჭებენ და მას მეოთხე გადაცემით გაივლიან.

შემდეგ მარცხენა მოსახვევს გადიან მეორეთი, აჩქარდებიან და მომდევნო მარჯვენა მოსახვევს მეხუთეთი გაივლიან, მერე კი მეექვსესაც რთავენ. მომდევნო მოსახვევის წინ მესამემდე ამუხრუჭებენ და მისი გავლის შემდეგ მეოთხემდე აჩქარდებიან.

შემდეგ ისევ დამუხრუჭება, მესამე და მეორე გადაცემა და მომდევნო მარცხენა მოსახვევის მესამეთი გავლა; მომყოლ მარ-




მუხრუჭები (წინა-უკანა) ასე ყენდება: 60%-40% — მშრალ ამინდში, და პირიქით — წვიმაში.

## პროგნოზი

კვირას გამარჯვების მთავარი პრეტენდენტები კვლავ „უილიამსის", „ფერარისა" და „ბენეტონის" პილოტები იქნებიან, თუმცა მათ პაექრობაში ალბათ „მაკლარენის" პილოტებიც ჩაერევიან.

შაბათს, ჩვენი დროით 16 საათზე, „ევროსპორტზე" დაიწყება კვალიფიკაციის პირდაპირი რეპორტაჟი.

კვირას, 16.30-ზე, იმავე არხზე — რბოლის პირდაპირი გადმოცემა.

ალეკო ჭაბუკიანი

# მძლეოსნობა



## ნეტავ რა მოხდა?

ბებერი ბრიტანელი სპრინტერი ლინფორდ ქრისთი წლევანდლამდე აბსოლუტურად ყველაფრის — ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს, ბრიტანეთის თანამეგობრობისა და ევროპის ჩემპიონი იყო. ოლიმპიური წლისთვისაც გამორჩეულად ემზადა — ნამიბიელ ფრანკი ფრედრიქსთან ერთად ზამთარი გაატარა ავსტრალიაში, სადაც იმ დროს ზაფხული იყო, მაგრამ რომ ვერ ჩადგა ფორმაში და შედეგებიც არ უვარგოდა, პირველის გარდა კი სხვა ადგილს არა სცნობს, კარგა ხანს ანერვიულა ქომაგები და სულ ბოლოსლა დაყაბულდა ატლანტაში გამგზავრებას, თანაც ითხოვა, ბრიტანეთის დელეგაციის ალამდარად დამნიშნეთო.

ეს პატივი სპრინტერის ნაცვლად დიდ ნიჩბოსან სთივ რედგრეივს ხვდა წილად, ქრისთიმ კი ფინალში ორი ფოლ-სტარტი გააკეთა, რისთვისაც მოხსნეს, მაგრამ ისე იწყინა მსაჯების გადაწყვეტილება, რომ ასპარეზს ძლივს განარიდეს. რომ მორჩა გარბენი, რომელშიც კანადელმა დონოვან ბეილიმ მსოფლიო რეკორდი — 9,84 წამი დაამყარა, დამხობილი ჩემპიონი მაინც გაიჭრა ბილიკებზე და ხალხს ტაშის საკუთარი წილი დააკრევინა.

გასრულდა ოლიმპიადა და მძლეოსნებიც „გრან პრის" სარფიან ცირკს მიუბრუნდნენ. ქრისთიმ ოთხშაბათს იასპარეზა იტალიის სამთო კურორტ სესტრიერში, სადაც დიდი მძლეოსნობის დიდი ტრადიცია აქვთ, მაგრამ წამის ერთ მეათედზე მეტი მაინც წააგო კანადელ ბრუნი სურინთან, ვინაც 100 მეტრი 10,17 წამში გაირბინა.

ბრიტანელსაც რაღა დარჩენოდა — ადგა მორიგი მარცხი ხუმრობაში გადაატარა.


## არიქა!

ვასრულებთ ყველა სახის: ელექტრო, გაჯისა თუ სამღებრო („სამალიარო") სამუშაოებს, თანაც შეღავათიან ფასებში. ხარისხი გარანტირებულია.

ტელ: 95-74-72 (დღის 3 საათის შემდეგ). იკითხეთ თემური ან ბიჭიკო


# კრივი

# რა საჭიროა ამდენი ჩემპიონი!

6 აგვისტოს, თითქოს პირი შეკრაო, პროფესიული კრივის სამივე ძირითადმა მმართველმა გაერთიანებამ — მსოფლიო საბჭომ (ვბკ), მსოფლიო ასოციაციამ (ვბა) და საერთაშორისო ფედერაციამ (იბფ) ასოშიეითედ პრესის მეშვეობით გამოაქვეყნა უკლებლივ ყველა წონის ჩემპიონთა და ამათი ტიტულების მოცილეთა სიები. ამ ნუსხებისთვის თვალის ერთი შევლებით კრივის დამფასებელი მკითხველი თავად დარწმუნდება, თუ კვლავაც რა დომხალია ამ დიდებულ სპორტში, მაგრამ დამოუკიდებელი ანალიზით იმასაც დაასკვნის, თუ რომელი გაერთიანება რისი მაქნისია. აქვე შევნიშნოთ, რომ წონა გამოსახულია გირვანქობით (1 გირვანქა უდრის 454 გრამს) და კიდევ ის, რომ ვბკ-ის ბინა მეხიკოშია, ვბა-ისა — კარაკასში (ვენესუელა), იბფ-ისა კი — პორტსმუთში (აშშ).

| წონა | ზღვარი | WBC | WBA | IBF |
|---|---|---|---|---|
| მძიმე | | მაიკ ტაისონი (აშშ) | ბრუს სელდონი (აშშ) | მაიკლ მორერი (აშშ) |
| მოცილეები: | 1. | ლენოქს ლუისი (ბრიტანეთი) | მაიკ ტაისონი | ფრანსუა ბოთა (სამხ. აფრიკა) |
| | 2. | ოლივერ მაქქოლი (აშშ) | ოლივერ მაქქოლი | ოლივერ მაქქოლი |
| | 3. | ფრენკ ბრუნო (ბრიტანეთი) | ორლინ ნორისი | კორი სენდერსი (სამხ. აფრიკა) |
| | 4 | რეი მერსერი (აშშ) | ევანდერ ჰოლიფილდი | ვოგან ბინი |
| | 5. | ლარი დონალდი (აშშ) | თონი თაქერი (აშშ) | ორლინ ნორისი |
| | 6. | ზელკო მავროვიჩი (ხორვატია) | ვოგან ბინი (აშშ) | ლენოქს ლუისი |
| | 7. | ევანდერ ჰოლიფილდი (აშშ) | ლენოქს ლუისი | ფრენკ ბრუნო |
| | 8. | ანჯეი გოლოტა (აშშ) | ფრენკ ბრუნო | ანჯეი გოლოტა |
| | 9. | ორლინ ნორისი (აშშ) | კროუფორდ გრიმზლი (აშშ) | ბასთერ მათიასი (აშშ) |
| | 10. | თიმ ვიზერსფუნი (აშშ) | ანჯეი გოლოტა | ობედ სალივანი (აშშ) |
| კრეისერისა | 190 | მარსელო დომინგესი (არგენტ.) | ნეით მილერი (აშშ) | ალფრედ ქოული (აშშ) |
| ქვე-მძიმე | 175 | ფაბრის ტიოცო (საფრანგეთი) | ვერჯილ ჰილი (აშშ) | ჰენრი მასკე (გერმანია) |
| ზე-საშუალო | 168 | ვინჩენცო ნარდიელო (იტალია) | ფრენკ ლაილზი (აშშ) | როი ჯოუნზი (აშშ) |
| საშუალო | 160 | ქის ჰოლმსი (აშშ) | ვილიამ ჯოპი (აშშ) | ბერნარდ ჰოპკინსი (აშშ) |
| ზე-„ველთერი" | 154 | თერი ნორისი (აშშ) | ხულიო სესარ ვასკესი (არგენტ.) | თერი ნორისი (აშშ) |
| „ველთერი" | 147 | პერნელ ვითიქერი (აშშ) | იკე ქორთი (განა) | ფელიქს ტრინინადი (პუერ-რიკო) |
| ზე-მსუბუქი | 140 | ოსკარ დელაჰოია (აშშ) | ხუან კოხი (არგენტინა) | კოსტია ცზიუ (ავსტრალია) |
| მსუბუქი | 135 | ჟან-ბაპტისტ მენდი (საფრანგეთი) | გუში ნაზაროვი (რუსეთი) | ფილიპ ჰოლიდეი (სამხ.აფრიკა) |
| ზე-ბუმბულისა | 130 | აზუმა ნელსონი (განა) | იონგ-სუუ ჩოი (კორეა) | არტურო გატი (აშშ) |
| ბუმბულისა | 126 | ლუიზიტო ესპინოზა (ფილიპინ.) | ვილფრედო ვასკესი (პუერ-რიკო) | თომ ჯონსონი (აშშ) |
| ზე-მამლისა | 122 | დანიელ სარაგოსა (მექსიკა) | ანტონიო სერმენო (ვენესუელა) | ვუიანი ბუნგუ (სამხ.აფრიკა) |
| მამლისა | 118 | ვენი მაკკალოპი (ირლანდია) | ნანა კონადუ (განა) | მბულელო ბოთლე (სამხ.აფრიკა) |
| ზე-ბუზისა | 115 | ჰიროში კავაშიმა (იაპონია) | ალიმი გოისია (ვენესუელა) | ჰაროლდ გრეი (კოლუმბია) |
| ბუზისა | 112 | იური არბაჩაკოვი (რუსეთი) | სან პლენჩიტი (თაილანდი) | მარკ ჯონსონი (აშშ) |
| ქვე-ბუზისა | 108 | სამან სორჯატურონგი (თაილანდი | კეიჲი იამაგუჩი (იაპონია) | მაიკლ კარბახალი (აშშ) |
| ჩალისა | 105 | ლიკარდო ლოპესი (მექსიკა) | როზენდო ალვარესი (ნიკარაგუა) | რატანპოლ ვორაპინი (თაილანდი) |

პირდაპირ გული მოგიკვდება კაცს: 17 წონაში მსოფლიოს 50 ჩემპიონი ჰყავს. ზე-„ველთერის" ყოჩი თერი ნორისი რომ არა, ყველა წონაში სამ-სამი ჯილა გვეყოლებოდა!


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეჭველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29



რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90